

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №

2025 წლის ---- მარტი

ქ. წყალტუბო

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის
შესრულების შესახებ

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულომ მოისმინა ანგარიში, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის შესრულების შესახებ (თან ერთვის).

აღინიშნა, რომ წარმოდგენილი ანგარიში შესაბამისობაშია კანონმდებლობასთან და სათანადო დებულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან.


ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის, 24-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ პუნქტის „დ.ა“ ქვეპუნქტისა და წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის შესაბამისად:

1. დამტკიცდეს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში.
2. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის შესრულება შეფასდეს დადებითად.
3. განკარგულება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ქუთაისი, კუპრამის ქ. №11).

მომზადა

მეორადი სტრუქტურული ერთეულის

ხელმძღვანელი



მ. ბერაძე

შეთანხმებულია


კომისიის თავმჯდომარე



ა. ლიბრაძე



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
 წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია
 G E O R G I A
 CITY HALL OF TSKALTUBO MUNICIPALITY



წერილის ნომერი: **48-482505982**
 თარიღი: **28/02/2025**

ადრესატი: წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო
 მისამართი: ქ. წყალტუბო, რუსთაველის ქ. N27

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს
 ბატონ თეიმურაზ ჭეიშვილს

ბატონო თეიმურაზ,

გიგზავნით წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის შესრულების შესახებ ანგარიშს.

დანართი თან ერთვის.

პატივისცემით,

გენადი ბალანჩივაძე

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
 ელექტრონული ხელმოწერა/
 ელექტრონული შტამპი



ანგარიში
წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2024 წლის
ბიუჯეტის შესრულების შესახებ

შესავალი

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მაჩვენებლები დამოკიდებულია საქართველოში არსებულ მაკროეკონომიკურ მაჩვენებლებზე და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მაკროეკონომიკური პარამეტრების ზღვრების დასაცავად განსახორციელებელ ღონისძიებებსა და შეზღუდვებზე.

საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების მიერ 2024-2027 წლების ნომინალური მშპ-ს ზრდის ტემპი განსაზღვრული იყო 8,4 % პროცენტით, აღნიშნულიდან გამომდინარე მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ დადგენილების პროექტში ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლით განსაზღვრული ასიგნებების ზრდა შეესაბამებოდა საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 155¹ მუხლის 2-ე პუნქტის მოთხოვნებს.

საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 77-ე მუხლის მეექვსე პუნქტის შესაბამისად 2023 წლის 5 ოქტომბერს საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ მუნიციპალიტეტებს აცნობა დასაგეგმი საბიუჯეტო წლის ძირითადი საბიუჯეტო პარამეტრები და მაკროეკონომიკური პროგნოზები.

ზემოთ აღნიშნული ფაქტორის გათვალისწინებით მომზადდა წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2024-2027 წლების ბიუჯეტის შემოსულობების და გადასახელების პროგნოზები. ბიუჯეტის მომზადებისას ასევე მხედველობაში იქნა მიღებული მუნიციპალიტეტის საკუთარი უფლებამოსილებები და ვალდებულებები და ყველა ის სოციალური და ინფრასტრუქტურული დაპირება რაც გაცემული იყო მუნიციპალიტეტის მერიის და საკრებულოს მიერ.

2024 წლის ბიუჯეტი განისაზღვრა 29 400,0 ათასი ლარით.

2023 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტთან მიმართებაში გაზრდილია 4 485.0 ათასი ლარით.

საგადასახადო შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებლები საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 77-ე მუხლის 6-ე და 6¹-ე პუნქტების გათვალისწინებით შეესაბამება საქართველოს ფინანსთა სამინისტროდან მიღებულ საგადასახადო შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებლებს.

2024 წლის პროგნოზით, მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლები წლის დასაწყისისათვის 26 023.1 ათას ლარს შეადგენდა. 2023 წლის გეგმიურ მაჩვენებელთან შედარებით 2024 წლის საგადასახადო შემოსავლების პროგნოზი იზრდება 4 418.2 ათასი ლარით.

2024 წელს საგადასახადო შემოსავლების პროგნოზი გადასახადების სახეების მიხედვით შემდეგია:

დამატებული ღირებულების გადასახადის საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 23 223,1 ათასი ლარით.

2024 წელს სახელმწიფოს მიერ პროგნოზირებული დამატებული ღირებულების გადასახადიდან, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში მიიმართა გასანაწილებელი დამატებული ღირებულების გადასახადის 1.34 %, რაც ნომინალურ გამოხატულებაში საორიენტაციოდ შეადგენს 23 223.1 ათას ლარს, 2023 წლის გეგმიურ მაჩვენებელთან შედარებით 2024 წლის დამატებითი ღირებულების გადასახადიდან მისაღები შემოსავლების პროგნოზი იზრდებოდა 3 918.2 ათასი ლარით. აღნიშნული მოცულობით 2024 წლის ბიუჯეტში ზრდა გამოწვეული იყო 2024 წელს, დაგეგმილზე მაღალი ეკონომიკური ზრდის შედეგად მოსალოდნელი გადაჭარბების ზრდის ფისკალური ეფექტებით.

- **ქონების გადასახადის** 2024 წლის საპროგნოზო მაჩვენებელი შეადგენდა 2800,0 ათას ლარს; 2023 წლის პირველად ბიუჯეტთან შედარებით 2024 წლის ქონების გადასახადის პროგნოზი გაზრდილი იყო 500.0 ლარით. 2023 წელის დასაწყისში შეადგენდა 2 300,0 ლარს.
- **გრანტების** სახით დაგეგმილი მაჩვენებლები (მიზნობრივი ტრანსფერი) განისაზღვრება 269,0 ათასი ლარით. 2023 წლის გეგმიურ მაჩვენებელთან შედარებით მიზნობრივი ტრანსფერის მოცულობა 2024 წელს გაიზარდა 59.0 ათასი ლარით.
- **2024 წელს არა საგადასახადო შემოსავლების** გეგმის პროგნოზი შეადგენს 3 007.9 ათას ლარს. წინა საანგარიშო წლის მაჩვენებელთან შედარებით არასაგადასახადო შემოსავლების გეგმა გაზრდილი იყო 7.9 ათასი ლარით. იგი 2023 წელს შეადგენდა 3000.0 ათას ლარს. არასაგადასახადო შემოსავლების 2024 წლის საპროგნოზო მონაცემების განსაზღვრა განხორციელდა კონსერვატიული მიდგომით. გამომდინარე იქედან რომ ქვეყანაში მიმდინარე მოვლენები მნიშვნელოვნად ართულებს ბიუჯეტების შემოსავლების პროგნოზირებას. ამასთან, შემოსავლების კუთხით არსებული გაურკვეველობა თავის მხრივ აისახება ხარჯების საშუალოვადიანი დაგეგმვისათვის სწორი პროგნოზების გაკეთებაზე. აღნიშნულის გათვალისწინებით განისაზღვრა არასაგადასახადო შემოსავლების გეგმის ზრდა ნაკლები პროცენტულობით.

2024 არასაგადასახადო შემოსავლები გადასახადების სახეების მიხედვით იყო შემდეგი:

- შემოსავლები საკუთრებიდან განსაზღვრული იყო 240,0 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:
 - ✓ მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსების სარგებლობისათვის 220,0 ათასი ლარი.
 - ✓ მიწის იჯარა-20,0 ათასი ლარით;
- შემოსავლები საქონელისა და მომსახურების რეალიზაციიდან - 1267,0 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:
 - ✓ სანებართვო მოსაკრებლები 40,0 ათასი ლარი;
 - ✓ სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი 1000,0 ათასი ლარი;
 - ✓ მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის 157.9 ათასი ლარი;
 - ✓ შემოსავალი შენობებისა და ნაგებობების იჯარაში ან მართვაში (უზურფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან 70,0 ათასი ლარი;
- შემოსავლები სანქციები, ჯარიმები და საურავებიდან - 1500,0 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:
 - შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები)ადმინისტრაციული სამართალდარღვევის გამო 400.0 ათასი ლარი;
 - შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები)ადმინისტრაციული სამართალდარღვევის გამო ტრანსპორტზე საგზაო მეურნეობისა და კავშირგაბმულობის დარგში 400.0 ათასი ლარი;
 - საგზაო მოძრაობის წსების დარღვევის გამო 550.0 ათასი ლარი;
 - სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავალი 150.0 ათასი ლარი

- არაფინანსური აქტივების კლების (პრივატიზაცია) სახით მისაღები თანხების გეგმა შეადგენდა 100.0 ათას ლარს.

არაფინანსური აქტივების კლების (პრივატიზაციის) სახით მისაღები შემოსავლების გეგმის პროგნოზირება განვახორციელეთ კონსერვატიული პროგნოზების ფარგლებში, ანუ არ განვახორციელეთ გეგმის ზრდა 2023 წლის მაჩვენებელთან შედარებით, რადგან გეგმის შესრულება არ არის დამოკიდებული მუნიციპალიტეტის საქმიანობაზე და რომ არ მომხდარიყო მუნიციპალიტეტის მიერ შეუსრულებელი დაპირებების გაცემა. აღნიშნული ეხება როგორც მიმდინარე (მათ შორის, სოციალურ), ასევე კაპიტალურ ხარჯებს. გამომდინარე აქედან არაფინანსური აქტივების კლების (პრივატიზაცია) სახით მისაღები თანხების გეგმა განვსაზღვრეთ იგივე მოცულობით როგორც 2023 წელს 100.0 ათას ლარით. მათ შორის არაწარმოებული აქტივების გაყიდვიდან 80.0 ათას ლარს.

- შენობა ნაგებობების გაყიდვიდან -20,0 ათასი ლარს.

ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის

2024 ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის გეგმის საპროგნოზო მაჩვენებელი შეადგენდა 29 400.0 ათას ლარს.

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის 2024 წლის ბიუჯეტის გადასახდელების მოცულობა წლის დასაწყისისათვის შეადგენდა 29 400.0 ათას ლარს, 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცებულ გეგმასთან შედარებით 4 485,1 ათასი ლარით მეტს. აღსანიშნავია, რომ 2024 წლის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილში გათვალისწინებული იყო დამატებითი ხარჯები, მათ შორის თანამშრომელთა ხელფასების ზრდა. აღნიშნული გამომდინარეობდა 2024 წლის სახლემწიფო ბიუჯეტის პროექტში გათვალისწინებული „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, დასაქმებულის საბაზო თანამდებობრივი სარგო განისაზღვრა 1 330 ლარის ოდენობით ნაცვლად 1210 ლარისა. გარდა ამისა, მუნიციპალიტეტების გაზრდილი შემოსავლების ფარგლებში გათვალისწინებული იქნა საბავშვო ბაღების თანამშრომელთა ხელფასების 100 ლარიანი ზრდა.

ამავდროულად ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილში ითვალისწინებდა ვალის დაფარვას

სსიპ „საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდსა“ და წყალტუბოს მუნიციპალიტეტს შორის გაფორმებული „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის პროექტის“ ქონების გადაცემის ხელშეკრულების ფარგლებში გაცემული სესხის შესაბამისად 2024 წლის 01 იანვრისთვის წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ვალი შეადგენდა 161.1 ათ ლარს, 2024 წლისთვის (28 აპრილი და 28 ოქტომბერი) დაიგეგმა ვალის შემცირება 68.9 ათ. ლარით. რის შემდეგაც მუნიციპალიტეტს დარჩება ვალი 92.2 ათ. ლარი.

პრიორიტეტების მიხედვით გათვალისწინებული იყო

პროგრამული კოდი	დასახელება	/ათასი ლარი/ 2024 წლის პროექტი
	სულ ჯამი	29400,0
0100	მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები	6788,1
02 00	ინფრასტრუქტურის განვითარება	6397,6
03 00	დასუფთავება გარემოს დაცვა	2849,5
04 00	განათლება	5373,7
05 00	კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობა და სპორტი	4823,0
06 00	მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური	3168,1

პროგრამული კოდი	დასახელება	2024 წლის პროექტი
	უზრუნველყოფა	

ინფრასტრუქტურის განვითარება - 6 397.6 ათასი ლარი, მათ შორის:

აღსანიშნავია, რომ ინფრასტრუქტურის განვითარების პრიორიტეტის დაფინანსებას ყველაზე დიდი ხვედრითი წილი აქვს და ქონდა მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილში. რადგან ადგილობრივი ინფრასტრუქტურის განვითარებაზე სახსრების მიმართებით უზრუნველყოფილი იქნება მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება, მუნიციპალიტეტში ახალი სამუშაო ადგილების შექმნა, ინფრასტრუქტურის მნიშვნელოვანი გაუმჯობესება, ტურიზმის, კულტურისა და სპორტის სფეროების განვითარება. მუნიციპალიტეტისათვის მნიშვნელოვანია, რომ 2024-2027 წლებში მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების მიერ გადადგმულმა ნაბიჯებმა შექმნას საშუალო ვადიან პერიოდში მუნიციპალიტეტის სოციალური და ეკონომიკური განვითარების მყარი საფუძვლები.

ამ მიზნის მისაღწევად მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის დაგეგმვა ეფუძნება შემდეგ პრინციპებს: წყალტუბო - დასავლეთ საქართველოს ლიდერი ქალაქია, სადაც არსებული რესურსების ეფექტიანი და მდგრადი გამოყენებით უზრუნველყოფილი უნდა იყოს ყველასათვის თანაბარი განვითარების შესაძლებლობები. რადგან იგი მიმზიდველია საცხოვრებლად, სამუშაოდ, ბიზნესის კეთებისათვის, ტურიზმისა და დასვენებისათვის, როგორც ადგილობრივი მოსახლეობისათვის, ასევე ქალაქის სტუმართათვის.

წყალტუბო არის ეკონომიკურად ერთ-ერთი ყველაზე სწრაფად მზარდი ქალაქი საქართველოში, რომელიც დაკავშირებული მხარეების ფართო ჩართულობით უზრუნველყოფს:

- საინვესტიციო და სამეწარმეო გარემოს გაუმჯობესებას;
- მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურის მოწესრიგებას;
- ქალაქის ცნობადობის გაზრდას;
- ტურისტული ატრაქციების გაუმჯობესებას და მათი მიმზიდველობის ზრდას;
- გამართული სპორტული და კულტურული ინფრასტრუქტურის შექმნას;
- ეკოლოგიური და გამწვანების სტანდარტების დაცვას.

წყალტუბოს მუნიციპალიტეტისათვის მნიშვნელოვანია ისტორიულად მიმზიდველი გარემოს შენარჩუნება და განვითარება. მისი ტურისტული პოტენციალის მაქსიმალური გამოვლენა. რაც გულისხმობს მიმზიდველი გარემოს

შექმნას და ტურიზმის განვითარებით წყალტუბოს მოსახლეობის ეკონომიკურ გაუმჯობესებას.

ეფექტურად გაგრძელდა ყველა ისეთი საჭირო კომუნიკაციების მშენებლობა რეაბილიტაცია, როგორცაა გზები, გარე განათება, წყალმომარაგება და სხვა. რათა მაქსიმალურად ხელი შეეწყოს ინვესტიციების მოზიდვას და ეკონომიკის განვითარებას.

აქედან გამომდინარე 2024 წლის განმავლობაში გაგრძელდა საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია, ქალაქის საცხოვრებელი უბნების ეზოების, არსებული წყალმომარაგების და საკანალიზაციო სისტემის, აგრეთვე გარე განათების ქსელის რეაბილიტაცია. თვითმმართველი ერთეულების ტერიტორიულ ორგანოებში სარწყავი არხების გაწმენდა-რეაბილიტაცია. განხორციელდა არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა შენახვა და დაფინანსდა მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები.

✓ მხარჯავი დაწესებულებების მიხედვით მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ასიგნებები განაწილებული იქნა შემდეგნაირად.

პროგრამული კოდი	დასახელება	/ათასი ლარი/ 2024 წლის პროექტი
	სულ ჯამი	29400
0100	მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები	6788,1
01 0101	საკრებულო	1777,9
0101 02	მერია	4871,6
0101 04	თანამშრომელთა გადამზადება	38,6
010201	სარეზერვო ფონდი	100,0
02 00	ინფრასტრუქტურის განვითარება	6397,6
02 01	საგზაო ინფრასტრუქტურის	1743,3
02 02	წყლის სისტემების განვითარება	1031,5
02 03	გარე განათება	950,0
02 04	ავარიული შენობების და სახლების რეაბილიტაცია	150,0
0205	ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარება	400,0
0206	კეთილმოწყობის ღონისძიებები	1772,8
0208	საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შექმნა	100,0
0209	სამშენებლო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობა და ექსპერტიზა	100,0

პროგრამული კოდი	დასახელება	2024 წლის პროექტი
0210	მოქალაქეთა ჩართულობა	100,0
0211	ოჯახების სოციალ-ეკონომიკური გაძლიერების მხარდაჭერა	50,0
03 00	დასუფთავება გარემოს დაცვა	2849,5
03 02	უპატრონო ცხოველების ოპერირება	60,0
03 03	დასუფთავება , ნარჩენების გატანა და ცენტრალური პარკის ზედამხედველობა	2038,4
0305	ნაგავშემკრები კანტეინერებიდან ანაგავშიდის მანქანები	751,1
04 00	განათლება	5373,7
04 01	საბავშვო ბაღების გაერთიანება	5373,7
05 00	კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობა და სპორტი	4823,0
05 01	სპორტის განვითარების ხელშეწყობა	2171,9
0502	კულტურის სფეროს დაწესებულებების ხელშეწყობა	2631,1
0503	ახალგაზრდობის მხარდაჭერა	20,0
06 00	მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	3168,1
06 01	ჯანმრთელობის დაცვა	191,1
06 02	სოციალური პროგრამები	2977,1
060201	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სათნოების სახლი	463,1
060202	მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ დღევანდელ პირთა დახმარება	3,0
060203	მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული ოჯახების მატერიალური წახალისება დემოგრაფიული მდგომ. გაუმჯობესებისათვის	130,0
060204	მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული მოქალაქეთა სარიტუალო	20,0
060205	მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული მოქალაქეთა ერთჯერადი დახმარება	805,0
060206	ბავშვთა ინკლუზიური ცენტრი	241,0
060207	მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული მოქალაქეთა სამედიცინო დახმარების თანადაფინანსება	700,0
060208	სტიქიის, ხანძრის შედეგად დაზარალებულ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ მოქალაქეების დახმარება	150,0

პროგრამული კოდი	დასახელება	2024 წლის პროექტი
060209	გენდერული თანასწორობის ხელშეწყობა	7,0
060210	მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულისოციალურად დაუცველი ოჯახებისათვის ინდივიდუალური სახლების მშენებლობა /შეძენა	400,0
060211	მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული განსაკუთრებული საჭიროების მქონე ბავშვიანი ოჯახების დახმარება	58,0

წლის განმავლობაში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად ბიუჯეტი გაიზარდა 29 581,5 ათასი ლარით და იგი განისაზღვრა 58 981,5 ათასი ლარით.

აღნიშნული განაპირობა როგორც ბიუჯეტის შემოსავლების გეგმის ზრდამ ასევე სახელმწიფოს მიერ გადმოცემულმა გრანტებმა.

შემოსავლები სახეების მიხედვით წარმოდგენილია ცხრილის სახით, სადაც აღნიშნულია 2024 წლის ბოლოსათვის არსებული შემოსავლის გეგმა და ფაქტიურად მიღებული შემოსავალი:



I თავი.

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ძირითადი მაჩვენებლების შესრულება

1) ბიუჯეტის ბალანსი საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით:

ათასი ლარი

დასახელება	2024 წლის ბიუჯეტის გეგმა			2024 წლის ბიუჯეტის იანვარი - დეკემბრის ფაქტი		
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
I. შემოსავლები	49,545.2	14,843.4	34,701.8	52,348.9	14,829.5	37,519.4
გადასახადები	27,038.1	0.0	27,038.1	27,696.5	0.0	27,696.5
გრანტები	15,019.6	14,843.4	176.3	15,285.9	14,829.5	456.4
სხვა შემოსავლები	7,487.5	0.0	7,487.5	9,366.5	0.0	9,366.5
II. ხარჯები	33,078.2	2,192.4	30,885.8	29,958.3	2,106.2	27,852.1
შრომის ანაზღაურება	4,833.3	0.0	4,833.3	4,749.2	0.0	4,749.2
საქონელი და მომსახურება	7,283.0	1,010.4	6,272.6	5,772.3	948.0	4,824.4
პროცენტი	17.4	0.0	17.4	10.9	0.0	10.9
სუბსიდიები	15,548.6	262.9	15,285.7	14,417.5	259.6	14,157.9
გრანტები	347.4	0.0	347.4	338.1	0.0	338.1
სოციალური უზრუნველყოფა	2,145.7	50.0	2,095.7	2,113.1	49.1	2,064.0
სხვა ხარჯები	2,902.8	869.1	2,033.7	2,557.1	849.6	1,707.6
III. საოპერაციო სალდო	16,467.0	12,650.9	3,816.1	22,390.6	12,723.2	9,667.3
IV. არაფინანსური აქტივების ცვლილება	22,966.5	13,377.7	9,588.8	20,595.7	13,328.9	7,266.8
ზრდა	25,818.0	13,377.7	12,440.3	23,576.4	13,328.9	10,247.5
კლება	2,851.4	0.0	2,851.4	2,980.7	0.0	2,980.7
V. მთლიანი სალდო	-6,499.5	-726.7	-5,772.8	1,794.9	-605.6	2,400.6
VI. ფინანსური აქტივების ცვლილება	-6,555.1	-726.7	-5,828.4	-2,313.2	-605.6	-1,707.6
ზრდა	0.0	0.0	0.0	2,344.9	0.0	2,344.9
ვალუტა და დეპოზიტები	0.0	0.0		2,344.9		2,344.9
კლება	6,555.1	726.7	5,828.4	605.6	605.6	0.0
ვალუტა და დეპოზიტები	6,555.1	726.7	5,828.4	605.6	605.6	
კლება	55.6	0.0	55.6	0.0	0.0	0.0
საშინაო	55.6	0.0	55.6	0.0	0.0	0.0
VIII. ბალანსი	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0

შენიშვნა: ბალანსში გათვალისწინებულია ბიუჯეტის ანგარიშებზე მობრუნებული თანხები.


2) საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით ბიუჯეტის შემოსულობების, გადასახდელებისა და ნაშთის შედარება შესაბამისი პერიოდის გეგმურ მაჩვენებლებთან

ათასი ლარი


დასახელება	2024 წლის ბიუჯეტის გეგმა			2024 წლის ბიუჯეტის იანვარი - დეკემბრის ფაქტი		
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
შემოსულობები	52,396.6	14,843.4	37,553.3	55,329.6	14,829.5	40,500.1
შემოსავლები	49,545.2	14,843.4	34,701.8	52348.9	14829.5	37519.4
არაფინანსური აქტივების კლება	2,851.4	0.0	2,851.4	2980.7	0.0	2980.7
ფინანსური აქტივების კლება	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
გადასახდელები	58951.8	15570.1	43381.6	53534.7	15435.1	38099.6
ხარჯები	33078.2	2192.4	30885.8	29958.3	2106.2	27852.1
არაფინანსური აქტივების ზრდა	25818.0	13377.7	12440.3	23576.4	13328.9	10247.5
ვალდებულებების კლება	55.6	0.0	55.6	0.0	0.0	0.0
ნაშთის ცვლილება	-6,555.1	-726.7	-5,828.4	1,794.9	-605.6	2,400.6

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის შემოსულობების (შემოსავლები, არაფინანსური აქტივები, ფინანსური აქტივები) გეგმა განისაზღვრა 52396.6 ათასი ლარით, ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 55329,6 ათასი ლარი, ანუ გეგმის 105.6%.

სახეობების მიხედვით შემოსულობების ხვედრითი წილი:



წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის შემოსავლების (გადასახადები, გრანტები, სხვა შემოსავლები) გეგმა 49545.2 ათასი ლარი, ფაქტიურად 52348,9 ათასი ლარით შესრულდა, რამაც გეგმის 105.7% შეადგინა.



ა) საგადასახადო შემოსავლები ბიუჯეტში მთლიანობაში მობილიზებულია 27696,5 ათასი ლარი და 2023 წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით (ფაქტი – 22600,8 ათასი ლარი) მიმდინარე პერიოდში 5095,7 ათასი ლარით მეტი შემოსავალი მიღებული, მათ შორის: დამატებული ღირებულების გადასახადიდან მიღებულია 23758,9 ათასი ლარი. წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან (2023 წლის ფაქტი 19601,0 ათასი ლარი) შედარებით 4157,9 ათასი ლარით მეტი შემოსავალი მიღებული. ქონების გადასახადის გეგმა საანგარიშო პერიოდში, ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებით გაიზარდა და შეადგინა 3815,0 ათას ლარი, მიღებულია 3937,6 ათასი ლარი, მათ შორის: საწარმოთა ქონების გადასახადიდან (გარდა მიწისა) მიღებულია 2495,3 ათასი ლარი, ფიზიკურ პირთა ქონებაზე გადასახადიდან (გარდა მიწისა) ეკონომიკური საქმიანობისათვის გამოყენებულ ქონებაზე - 4,7 ათასი ლარი, ფიზიკურ პირთა ქონებაზე გადასახადიდან (გარდა მიწისა) არაეკონომიკური საქმიანობისათვის გამოყენებულ ქონებაზე - 73,0 ათასი ლარი, სასოფლო - სამეურნეო დანიშნულების მიწაზე ფიზიკური პირებიდან - 198,3 ათასი ლარი. ხოლო იურიდიული პირებიდან - 102,6 ათასი ლარი. არასასოფლო - სამეურნეო დანიშნულების მიწაზე ფიზიკური პირებიდან - 239,4 ათასი ლარი. ხოლო იურიდიული პირებიდან - 824,3 ათასი ლარი.

დასახელება	2024 წლის ბიუჯეტის გეგმა			2024 წლის ბიუჯეტის იანვარ - დეკემბრის ფაქტი			%
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		
		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები	
გადასახადები	27,038.1	0.0	27,038.1	27696.5	0.0	27696.5	102.4
დღგ	23,223.1		23,223.1	23758.9		23758.9	102.3
საშემოსავლო გადასახადი	0.0			0.0			
ქონების გადასახადი	3,815.0	0.0	3,815.0	3937.6	0.0	3937.6	103.2
საქართველოს საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	2,492.1		2,492.1	2495.3		2495.3	100.1
ფიზიკურ პირთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	64.4	0.0	64.4	77.7	0.0	77.7	120.7
ეკონომიკური საქმიანობისთვის გამოყენებულ ქონებაზე	4.7		4.7	4.7		4.7	100
არაეკონომიკური საქმიანობისთვის გამოყენებულ უძრავ ქონებაზე	59.7		59.7	73.0		73.0	122.3
სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	257.4	0.0	257.4	300.9	0.0	300.9	116.9
ფიზიკურ პირებიდან	159.3		159.3	198.3		198.3	124.5
იურიდიულ პირებიდან	98.1		98.1	102.6		102.6	104.6
არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	1,001.1	0.0	1,001.1	1063.7	0.0	1063.7	106.3
ფიზიკურ პირებიდან	185.1		185.1	239.4		239.4	129.3
იურიდიულ პირებიდან	816.0		816.0	824.3		824.3	101

ბ) გრანტები ბიუჯეტში მთლიანობაში მობილიზებულია 15285.9 ათასი ლარი და 2023 წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით (ფაქტი – 14832.6 ათასი ლარი) მიმდინარე პერიოდში 453.3 ათასი ლარით მეტი შემოსავალია მიღებული, მათ შორის: მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად 751.8 ათასი ლარი (მათ შორის მიღებულ იქნა საჯარო სკოლების მოსწავლეთა ტრანსპორტირება - 432.7 ათ. ლარი (საკასო ხარჯმა შეადგინა 432,7 ათ. ლარი), ა(ა)იპ

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი - 269,0 ათ. ლარი (საკასო ხარჯმა შეადგინა 265. 7 ათ. ლარი, ვალდებულება დარჩა 3,3 ათ. ლარი), წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული განსაკუთრებული საჭიროების მქონე ბავშვიანი ოჯახებისათვის გამოყოფილი იქნა საყოფაცხოვრებო ტექნიკისა და ინვენტარის შესაძენად - 40,0 ათ. ლარი (საკასო ხარჯმა შეადგინა 39,8 ათ. ლარი), მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ იძულებით გადაადგილებულ პირთა, სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შემდგომ გარდაცვლილ მეომართა ოჯახების დაკრძალვის ხარჯების ნაწილობრივ ასანაზღაურებლად - 10,0 ათ. ლარი (საკასო ხარჯმა შეადგინა 9,3 ათ. ლარი), ხოლო მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში თავისუფალი ნაშთის სახით დარჩა 0,9 ათ. ლარი;

ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები - 14077.7 ათასი ლარი, მათ / შორის: საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოყოფილი თანხების (12593.8 ათასი ლარი) ფარგლებში საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2023 წლის 28 დეკემბრის №2402 განკარგულებით დაფინანსდა 11 735,7 ათ. ლარი, მათ შორის წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფ.მაღლაკში მე-12,13,16,20-ე ქუჩებზე გზების რეაბილიტაცია ბეტონის საფარით; წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ მუხიანი-ოფშკვიტის დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია ბეტონის საფარით; წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფ.პატრიკეთში ბაზმანების, ლელემეების და ეკლესიასთან მისასვლელი გზების რეაბილიტაცია ბეტონის საფარით; სოფელ ახალ საყულიაში ბაღის გზა, ჭელიძეები გზის, მირზა ჩანქსელიანის უბანი და სასაფლაოს გზის ბეტონის საფარით მოწყობა; სოფელ გეგუთში აღმაშენებლის, კუხიანიძეების და ფიროსმანის ქუჩებზე და ვარციხეჭესის დასახლებაში შიდა გზების რეაბილიტაცია ბეტონის საფარით; სოფელ ცხუნკური ჯვარის უბანი ,სოფელ ცხუნკური-ბესიაური გზის, დედაღვთისას მონასტერთან მისასვლელი გზის ბეტონის საფარით მოწყობა; წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ბანოჯაში მე-6 ქუჩისა და მელაძეების უბნის დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია ბეტონის საფარით; სოფელ ხომულში

სახერხის უბანში, მე-5 ქუჩაზე და 27 ქუჩაზე, სოფელ ბანოჯაში №10, №17 და №7 სოფელ გუმბრა ბზიკაძეები სასაფლაოს მიმართულებით გზის ბეტონის საფარით მოწყობა; სოფელ ჩუნეში №2 ქუჩა (ძეძილეთამდე), №11 ქუჩა (ცენტრალური გზა), „№12-31 ქუჩის გზის ბეტონის საფარით მოწყობა; სოფელ მეორე უბანი №3, №6 ქუჩის მეორე ჩიხი და პირველი ჩიხი, №8 ქუჩა მესამე ჩიხი გზის ბეტონის საფარით მოწყობა. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ქვილიშორში (ქვედა ქვილიშორში) სასმელი წყლის ქსელისა და მაგისტრალის რეაბილიტაცია - მოწყობა. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ოფშკვითში სანიაღვრე სისტემების, მოწყობა, რეაბილიტაცია. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფლებში მუხიანში, აბდალაძე-ფხაკაძეების უბნებში გზების ბეტონის საფარით მოწყობა. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ საყულიაში ძვ საყულია წისქვილის, მეკვერიების, ლომიძეების, კაშიას უბნებში, გზების ბეტონის საფარით მოწყობა. სოფელ ოფურჩხეთში ახალი სასაფლაოს გზის, სოფელ ჯიმასტარო მანაგაძეების უბანი, მელქაძეების უბანი, ტურაბელიძეებს უბანი, ყოფილი სკოლის უკან, ჩაკვეტაძეების უბანი, ხელაიების უბანი, სოფელ გუმათში ავალიანები, დაჩების უბანი, ველას უბნის გზის ბეტონის საფარით მოწყობა. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ჩუნეში (მე-10 ქუჩა), ზედა ჩუნეშში ლორთქიფანიძე თვალოძეები და სოფელ ყუმისთავში შალამბერიძეების უბანი და სოფელ ბანოჯაში 39 -ე ქუჩაზე გზის ბეტონის საფარით მოწყობა. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ მალლაკში, იმერეთის საყრდენი პუნქტი (ეკომიგრანტთა დასახლება) ჭელიძეების უბნებში გზების რეაბილიტაცია ბეტონის საფარით.

„საჯარო ფინანსების მართვის რეფორმის 2018 – 2021 წლების სტრატეგიის ფარგლებში ზოგიერთი მუნიციპალიტეტის მიერ ფინანსების მართვის გაუმჯობესების ხელშეწყობის მიზნით, 2023 წელს განსაზღვრული ღონისძიებების შესრულებიდან გამომდინარე, ზოგიერთი მუნიციპალიტეტისათვის კაპიტალური გრანტის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2024 წლის 30 მაისის №746 განკარგულებით წყალტუბოს მუნიციპალიტეტს გამოეყო 400,0 ათასი ლარი - აღნიშნული თანხა გადანაწილებული იქნა შემდეგ ინფრასტრუქტურულ პროექტებზე: წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ გუმბრაში (გუმბრინის დასახლება) წისქვილთან არსებული წყაროსა და მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობა - 30 000 ლარი; წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ტყაჩირში (ჩხობაძეების უბანი) გზის რეაბილიტაცია ბეტონის საფარით - 126 500 ლარი; წყალტუბოს მუნიციპალიტეტის

სოფელ ტყაჩირში (აგიაშვილების უბანი) გზის რეაბილიტაცია ბეტონის საფარით - 100 000 ლარი (პირველი ეტაპი); ქ. წყალტუბოში, ბალანჩივამის ქუჩაზე მცირე ზომის ფანჩატურის მოწყობა - 35000 ლარი, გეგუთში ვარციხქესის დასახლებაში, გუმბრაში (გუმბრინის დასახლება) და ქვიტირში სკვერის მოწყობა - 20000 ლარი, მოქალაქეთა ჩართულობის პროგრამის ფარგლებში ქ. წყალტუბოში, თბილისის ქუჩა #3 ბინის მიმდებარედ და კოლხეთის ქუჩა #10 ბინის მიმდებარედ სკვერის მოწყობა - 13500 ლარი და ქ. წყალტუბოში, რუსთაველის ქუჩა, პირველი ჩიხი სპორტული მოედნის რეაბილიტაცია - 75 000 ლარი.

„სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში“ საქართველოს მთავრობის 2023 წლის 29 დეკემბრის #2401 განკარგულებით მიღებულია 704,0 ათასი ლარი, რაც მოხმარდა სოფელ გეგუთში - მეურნეობის დასახლებაში საერთო საცხოვრებელი ბინის ეზოს 2 შემოღობვა, ასევე კულტურის სახლის რეაბილიტაცია, სოფელ გვიშტიბში - სასაფლაოს ღობის მოწყობა, პირველი წყალტუბო - სანიაღვრე არხების მოწყობა, ბანოჯა - თორნისწყაროზე სკვერის მოწყობა, დღნორისა - სოფლის შიდა საუბნო გზების მოხვნა-მოწესრიგება, ლეხიდრისთავი - სოფლის შიდა საუბნო გზების მოხვნა-მოწესრიგება, საჩხეური - სოფლის შიდა საუბნო გზების მოხვნა-მოწესრიგება, მალლაკი - ზედა მალლაკში ფანჩატურის მოწყობა, მიწაწითელი - გარე განათების ქსელის მოწყობა, დერჩი - სოფლის ცენტრში მდებარე შენობის რეაბილიტაცია, ვანისჭალა - სოფლის შიდა საუბნო გზების მოხვნა-მოწესრიგება, მუხიანი - რკინიგზის და საზოგადოებრივი ტრანსპორტის მოსაცდელის მიმდებარედ გარე განათების ქსელის მოწყობა, ქვედა მესხეთი - გარე განათების ქსელის მოწყობა, ოფურჩხეთი - გარე განათების ქსელის მოწყობა, გუმათი - გარე განათების ქსელის მოწყობა, ჟონეთი - ჯიშტერას წყაროს შემოღობვა, ოფშკვითი - გარე განათების ქსელის მოწყობა, ტყაჩირი - სოფლის ცენტრში ტრენაჟორის მოწყობა, ნოღა - გარე განათების ქსელის მოწყობა, საყულია - ამბულატორიის ეზოს შემოღობვა, ასევე ზედა უბნის სასაფლაოსთან მისასვლელი გზის გარე განათების მოწყობა, ფარცხანაყანევი - კოპიტნარის დევნილთა დასახლებაში სკვერის მოწყობა, ქვიტირი - გარე განათების ქსელის მოწყობა, ზედა მესხეთი - მელაძეების უბანში ბავშვთა გასართობი სივრცის მოწყობა, სოფელი წყალტუბო - ფანჩატურის მოწყობა მეორე უბნის კლუბის შენობასთან, ასევე ფანჩატურის მოწყობა ადმინისტრაციულ შენობასთან, ჩუნეში - ფანჩატურის მოწყობა და არსებული წყაროს რეაბილიტაცია.

„სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2023 წლის 28 დეკემბრის #2400 განკარგულების ფარგლებში დაფინანსდა 779,8 ათ. ლარი, კერძოდ 2024 წლის 6-7 თებერვალს მომხდარი სტიქიის (ძლიერი წვიმა და ქარი) შედეგად წყალტუბოს მუნიციპალიტეტში მრავალბინიანი საერთო საცხოვრებელი სახლებისთვის სახურავების სარეაბილიტაციო სამუშაოების შესყიდვა შემდეგ ლოკაციებზე: ქალაქი წყალტუბო, კოლხეთის ქუჩის მეორე ჩიხი ბინა N10, 9 აპრილის ქუჩა N3, 9 აპრილის ქუჩა N5. ასევე წყალტუბოს მუნიციპალიტეტში

2024 წლის 28, 29 და 30 სექტემბერს მომხდარი სტიქიის (ძლიერი ქარი) შედეგად, დაზიანებული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების სახურავების შეკეთების სამუშაოების და კერძო მოსახლეობისათვის დაზიანებული სახურავების გადახურვისათვის საჭირო გადასახური მასალის (ხის მასალა და თუნუქი) შესყიდვა.

„მოქალაქეთა ჩართულობის განვითარების ხელშეწყობის“ ინიციატივის განხორციელების მიზნით გასატარებელი ღონისძიებების ფარგლებში საქართველოს მთავრობის 2024 წლის 23 ივლისის #1025 განკარგულებით მიღებულია დაფინანსება 458,2 ათასი ლარი, რის ფარგლებშიც განხორციელდა შიდა მუნიციპალური გზების შეკეთება ინერტული მასალებით სოფლებში ცხუნკურის, ჩუნემის, ოფურჩხეთის, რიონი, მექვენისა და დღნორისის ადმინისტრაციულ ერთეულში - 103650 ლარი, წყალტუბოს მუნიციპალიტეტში სოფელ ნოლაში და სოფელ რიონში არსებული დაზიანებული - 33168 ლარი, ქალაქ წყალტუბოში, ქუთაისის ქუჩიდან გ. ტაბიძის ქუჩის მიმართულებით გამავალი არხის ამოწმება, დაღრმავება და გაფართოება, ასევე გოგებაშვილისა და კოსტავას ქუჩებზე გამავალი არხის ამოწმება, დაღრმავება და გაფართოება და წყალტუბოს მუნიციპალიტეტში არსებული მცირე ზომის სანიაღვრე არხების რეაბილიტაცია ლორთქიფანიძი, რუსთავის, ბესიკის ქუჩებზე და სოფელ გვიშტიბში - 219764 ლარი, წყალტუბოს მუნიციპალიტეტში სოფელ გუმბრაში 2 ერთეული, სოფელ ჩუნეშში 2 ერთეული და ქვედა მესხეთში 1 ერთეული მოსაცდელის მოწყობა - 35241 ლარი, წყალტუბოს მუნიციპალიტეტში, სოფელ მაღლაკში და სოფელ ზედა მესხეთში ახალი სპორტული მოედნის მოწყობა - 66336 ლარი.

საერთაშორისო ორგანიზაციებიდან და სხვა ქვეყნის მთავრობიდან მიღებული გრანტები - 456,4 ათასი ლარი, მათ შორის საგრანტო პროექტი „შემოქმედებითი კომპასი საქართველო“-ს კოორდინატორის და 2024 წლის 06 ივნისის საქართველოს მთავრობის №815 განკარგულების ფარგლებში ევროკავშირის დაფინანსებით ფიზიკური ინფრასტრუქტურის აღნუსხვის განხორციელების მხარდაჭერისათვის მოპოვებული გრანტი - 15 113 ლარი, საგრანტო პროექტის სმარტი და ინოვაციური გადაწყვეტილებები შავი ზღვის ქვეყნებში მწვანე და სუფთა სასოფლო თემებისათვის ფარგლებში - 441,3 ათასი ლარი.

ათასი ლარი


დასახელება	2024 წლის ბიუჯეტის გეგმა			2024 წლის ბიუჯეტის იანვარ - დეკემბრის ფაქტი			%
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		
		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები	
გრანტები	15,019.6	14,843.4	176.3	15285.9	14829.5	456.4	101.8
საერთაშორისო ორგანიზაციებიდან და სხვა ქვეყნის მთავრობიდან მიღებული გრანტები	176.3		176.3	456.4		456.4	258.9
სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერი	14,843.4	14,843.4	0.0	14829.5	14829.5	0.0	99.91
ბიუჯეტით გათვალისწინებული ტრანსფერები	765.5	765.5	0.0	751.8	751.8	0.0	98.21

მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად	765.5	765.5		751.8	751.8		98.21
ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	14,077.8	14,077.8	0.0	14077.7	14077.7	0.0	100
საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოყოფილი თანხები	12,593.8	12,593.8		12593.8	12593.8		100
სოფლის მხარდაჭერის პროგრამა	704.0	704.0		704.0	704.0		100
სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო თანხები	780.0	780.0		779.8	779.8		99.98

გ) სხვა შემოსავლები ბიუჯეტში მთლიანობაში მობილიზებულია 9366.5 ათასი ლარი და 2023 წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით (ფაქტი – 5193.9 ათასი ლარი) მიმდინარე პერიოდში 4172.6 ათასი ლარით მეტი შემოსავალია მიღებული, მათ შორის: პროცენტის სახით მიღებულია 1145.4 ათასი ლარი, მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის - 445.9 ათასი ლარი, შემოსავალი მიწის იჯაროდან და მართვაში (უზურფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან - 114.7 ათასი ლარი, სანებართვო მოსაკრებელი - 167.9 ათასი ლარი, სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი (სისტემურ - ელექტრონული ფორმის თამაშებიდან) – 6008.4 ათასი ლარი (მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გაიზარდა კაზინოების რაოდენობა და ფუნქციონირებს 4 დაწესებულება), ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის - 228.0 ათასი ლარი, შემოსავლები მომსახურების გაწევიდან - 114.0 ათასი ლარი (სახელმწიფო შენობებისა და ნაგებობების იჯარაში ან მართვაში გადაცემიდან მიღებული შემოსავალი, ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული შენობებისა და ნაგებობის იჯარაში ან მართვაში (უზურფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემოდან მიღებული შემოსავალი, ჯარიმები, სანქციები და საურავები - 946.3 ათასი ლარი, ნებაყოფლობითი ტრანსფერები გრანტების გარეშე - 195.9 ათასი ლარი.

დასახელება	2024 წლის ბიუჯეტის გეგმა			2024 წლის ბიუჯეტის იანვარ - დეკემბრის ფაქტი			%
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		
		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები	
სხვა შემოსავლები	7,487.5	0.0	7,487.5	9366.5	0.0	9366.5	125.1
შემოსავლები საკუთრებიდან	1,514.7	0.0	1,514.7	1706.0	0.0	1706.0	112.6
პროცენტები	974.0		974.0	1145.4		1145.4	117.6
რენტა	540.7	0.0	540.7	560.6	0.0	560.6	103.7
მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის	442.5		442.5	445.9		445.9	100.8
შემოსავალი მიწის იჯაროდან და მართვაში (უზურფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან	98.2		98.2	114.7		114.7	116.8
საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	4,899.7	0.0	4,899.7	6518.3	0.0	6518.3	133
ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები	4,801.2	0.0	4,801.2	6404.3	0.0	6404.3	133.4
სანებართვო მოსაკრებელი	158.6		158.6	167.9		167.9	105.9
სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი	4,458.5		4,458.5	6008.4		6008.4	134.8
ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის	184.1		184.1	228.0		228.0	123.8
არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება	98.5	0.0	98.5	114.0	0.0	114.0	115.7
შემოსავლები მომსახურების გაწვიდან	98.5		98.5	114.0		114.0	115.7
ჯარიმები, სანქციები და საურავები	877.5		877.5	946.3		946.3	107.8
ნებაყოფლობითი ტრანსფერები, გრანტების გარეშე	195.6		195.6	195.9		195.9	100.2

დ) არაფინანსური აქტივების კლება ბიუჯეტში მთლიანობაში მობილიზებულია 2980.7 ათასი ლარი და 2023 წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით (ფაქტი – 1650.6 ათასი ლარი) მიმდინარე პერიოდში 1330.1 ათასი ლარით მეტი შემოსავალი მიღებული, მათ შორის: ძირითადი აქტივები - 346.7 ლარი, არაწარმოებული აქტივების (მიწა) გაყიდვიდან - 2634.0 ლარი.



ე) ხარჯები ეკონომიკური მუხლების მიხედვით

ათასი ლარი

დასახელება	2024 წლის ბიუჯეტის გეგმა			2024 წლის ბიუჯეტის იანვარი - დეკემბრის ფაქტი		
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
II. ხარჯები	33,078.2	2,192.4	30,885.8	29,958.3	2,106.2	27,852.1
შრომის ანაზღაურება	4,833.3	0.0	4,833.3	4,749.2	0.0	4,749.2
საქონელი და მომსახურება	7,283.0	1,010.4	6,272.6	5,772.3	948.0	4,824.4
პროცენტი	17.4	0.0	17.4	10.9	0.0	10.9
სუბსიდიები	15,548.6	262.9	15,285.7	14,417.5	259.6	14,157.9
გრანტები	347.4	0.0	347.4	338.1	0.0	338.1
სოციალური უზრუნველყოფა	2,145.7	50.0	2,095.7	2,113.1	49.1	2,064.0
სხვა ხარჯები	2,902.8	869.1	2,033.7	2,557.1	849.6	1,707.6

ვ) ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება

არაფინანსური აქტივების ზრდის მაჩვენებელი პროგრამული კლასიფიკაციის კოდების მიხედვით შემდეგია:

ათასი ლარი:

org. kodi	დასახელება	2024 წლის ბიუჯეტის გეგმა	2024 წლის ბიუჯეტის ფაქტი	%
01 00	მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები	177.1	162.8	91.9
02 00	ინფრასტრუქტურის განვითარება	23,344.6	21645.1	92.7
03 00	დასუფთავება და გარემოს დაცვა	974.5	895.5	91.9
04 00	განათლება	200.6	171.0	85.3
05 00	კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობა და სპორტი	1,102.6	683.8	62.0

06 00	მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	18.6	18.1	97.6
	სულ	25,818.0	23576.4	91.3

დასახელება	2024 წლის ბიუჯეტის გეგმა	2024 წლის ბიუჯეტის ფაქტი	%
არაფინანსური აქტივების კლება	2,851.4	2980.7	104.5
ძირითადი აქტივები	218.7	346.7	158.6
არაწარმოებული აქტივები	2632.774	2634	100.0
მიწა	2632.8	2634	100.0

ზ) ვალდებულებები

დასახელება	გეგმა	ფაქტი	პროცენტი
ზრდა	0,0	0,0	0,0
კლება	55.6	55.6	100.0

სსიპ „საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდსა“ და წყალტუბოს მუნიციპალიტეტს შორის გაფორმებული „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის პროექტის“ ქონების გადაცემის ხელშეკრულების ფარგლებში გაცემული სესხის შესაბამისად 2024 წლის 01 იანვრისთვის წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ვალი შეადგენდა 161.1 ათ ლარს, 2024 წელის (28 აპრილი და 28 ოქტომბერი) ვალი შემცირდა 68.9 ათ. ლარით. რის შემდეგაც მუნიციპალიტეტს დარჩა ვალი 92.2 ათ. ლარი.

თ) შესრულება ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ფუნქციონალური კლასიფიკაციის მიხედვით

ფუნქციონალ. კოდი	დასახელება	გეგმა	ხარჯი	შესრულების %
00	სულ	46071.4	37592.8	82
7.1	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	5,096.4	4590.5	90
7.4	ეკონომიკური საქმიანობა	16,107.8	14004.8	87
7.5	გარემოს დაცვა	4,017.9	2547.2	63
7.6	საბინაო-კომუნალური მეურნეობა	8,431.2	6436.2	76
7.7	ჯანმრთელობის დაცვა	218.0	151.4	69
7.8	დასვენება, კულტურა და რელიგია	5,062.0	3660.2	72
7.9	განათლება	4,349.0	3750.3	86
7.10	სოციალური დაცვა	2,789.5	2452.3	88

ი) მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება

წლის დასაწყისში არსებული ნაშთიდან 6 908 748 ლარიდან წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის გარდამავალი ვალდებულებებზე მიიმართა 2 454 726 ლარი; 2023 წლის გარდამავალ პროექტებზე, რომელთა ტენდერები გამოცხადდა 2023 წელს 95 541 ლარი და თავისუფალი ნაშთიდან ხარჯებში გაიწერა 4 034 516 ლარი. ასევე მუნიციპალიტეტის საბანკო ანგარიშზე ირიცხება 2014 წლის №34 და №35 განკარგულებების ფარგლებში გამოყოფილი თანხიდან დარჩენილი 132145 ლარი. ხოლო სახელმწიფო

ხაზინის ანგარიშზე საქართველოს მთავრობის განკარგულებების ფარგლებში გამოყოფილი თანხებიდან ანგარიშზე ირიცხება ეკონომიის სახით 190 865 ლარი.

II თავი. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ასიგნებების შესრულება

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის გადასახდელების დაფინანსებამ 53590,3 ათასი ლარი შეადგინა, რაც გეგმის (58951,8 ათასი ლარი) 90,9 პროცენტია. ხოლო წინა წელთან შედარებით (2023 წლის ბიუჯეტის გადასახდელების დაფინანსებამ შეადგინა 41443,3 ათასი ლარი) დახარჯულია 12147,0 ათასი ლარით მეტი.

ხარჯების დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 33078,2 ათასი ლარი, გაწეულმა ხარჯმა - 29958,4 ათასი ლარი, რაც გეგმის 90,6%-ია.

შრომის ანაზღაურების დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 4833,3 ათასი ლარი, გაწეულმა ხარჯმა - 4749,2 ათასი ლარი, რაც გეგმის 98,3%-ია.

საქონელი და მომსახურების დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 7283,0 ათასი ლარი, გაწეულმა ხარჯმა 5772,3 ათასი ლარი, რაც გეგმის 79,3 %-ია.

პროცენტის დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 17,4 ათასი ლარი, გაწეულმა ხარჯმა 10,9 ათასი ლარი, რაც გეგმის 62.6 %-ია. აღნიშნულით ფინანსდება სსიპ „საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდსა“ და წყალტუბოს მუნიციპალიტეტს შორის გაფორმებული „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის პროექტის“ ქონების გადაცემის ხელშეკრულების ფარგლებში გაცემული სესხის პროცენტი.

სუბსიდიების დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 15548,6 ათასი ლარი, გაწეულმა ხარჯმა 14417,5 ათასი ლარი, რაც გეგმის 92,7 %-ია. აღნიშნულით ფინანსდება ეპარქიების სუბსიდირება და მუნიციპალიტეტის დაფინანსებაზე მყოფი არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების, როგორც შრომის ანაზღაურება, ასევე ადმინისტრაციული ხარჯები, ღონისძიებები, სკოლამდელი ასაკის ბავშვების კვების ხარჯი, სოციალურად დაუცველი და შეჭირვებული მოსახლეობის კვებით უზრუნველყოფა, მუნიციპალიტეტის გამწვანების, გარე განათებისა და კეთილმოწყობის ღონისძიებების დაფინანსება, დასუფთავების ღონისძიებების დაფინანსება და ა.შ.

გრანტების დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 347,4 ათასი ლარი, გაწეულმა ხარჯმა 338,1 ათასი ლარი, რაც გეგმის 97,3 %-ია. აღნიშნული ფარგლებში ანაზღაურებული იქნა თვითმართველობის ასოციაციის, ფინანსისტთა ასოციაციის, ეითქას საწევრო. ასევე მგფ-ის პროექტების თანადაფინანსება.

სოციალური უზრუნველყოფის დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 2145,7 ათასი ლარი, გაწეულმა ხარჯმა 2113,1 ათასი ლარი, რაც გეგმის 100,0 %-ია. აღნიშნულის ფარგლებში დაფინანსდა სოციალური პროგრამები, როგორცაა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ დღევგრძელ პირთა დახმარება, ოჯახების წახალისება დემოგრაფიული მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, მოქალაქეების ერთჯერადი ფულადი დახმარება, სამედიცინო დახმარების თანადაფინანსება, დედამით ობოლ

ბავშვთა დახმარება, სადღესასწაულო დღეებში ფინანსური დახმარება და თანამშრომელთა საავადმყოფო ფურცლის ანაზღაურება.

სხვა ხარჯების დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 2902,8 ათასი ლარი, გაწეულმა ხარჯმა 2557,1 ათასი ლარი, რაც გეგმის 88,1 %-ია. აღნიშნულის ფარგლებში დაფინანსდა სასამართლო გადაწყვეტილებით დაკისრებული გადასახდელები, საკრებულოს წევრების (გარდა საკრებულოს თანამდებობის პირებისა) უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება, ომის მონაწილეთა და უჭირისუფლო გარდაცვლილთა დაკრძალვის ხარჯების ნაწილობრივი ანაზღაურება, ბინათმესაკუთრეთა თანადაფინანსება, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული სოციალურად დაუცველი ასევე უსახლკარო / მძიმე საცხოვრებელ პირობებში მყოფი ოჯახებისათვის ინდივიდუალური სახლების მშენებლობის ან/და შეძენა, სტიქიის, ხანძრის შედეგად დაზარალებულ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ მოქალაქეების დახმარება და ა.შ.

არაფინანსური აქტივების ზრდის დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 25818,0 ათასი ლარი, გაწეულმა ხარჯმა - 23576,4 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 91,3 %-ია. აღნიშნულის ფარგლებში დაფინანსდა კომპიუტერული ტექნიკის შეძენა, გზების კაპიტალური შეკეთება, სასმელი წყლის ქსელისა და სანიაღვრე სისტემების მოწყობა, სპორტული მოედნების, საზოგადოებრივი სივრცეებისა და გარე განათების ქსელის მოწყობა და ა. შ.

ვალდებულების კლების დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 55,6 ათასი ლარი, გაწეულმა ხარჯმა 55,6 ათასი ლარი, რაც გეგმის 100 %-ია. აღნიშნულით ფინანსდება სსიპ „საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდსა“ და წყალტუბოს მუნიციპალიტეტს შორის გაფორმებული „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის პროექტის“ ქონების გადაცემის ხელშეკრულების ფარგლებში გაცემული სესხი.

პრიორიტეტების მიხედვით დაფინანსების სტრუქტურა შემდეგა:

პროგრამული კოდი	წყალტუბოს მუნიციპალიტეტი	2024 წლის ბიუჯეტის გეგმა			2024 წლის ბიუჯეტის ფაქტი			%
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები	
00	წყალტუბოს მუნიციპალიტეტი	58,951.8	15,570.1	43,381.6	53,590.3	15,435.1	38,155.2	90.9
01	მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები	7,181.6	0.0	7,181.6	6,460.0	0.0	6,460.0	90.0
02	ინფრასტრუქტურის განვითარება	32,126.4	14,621.4	17,505.0	29,590.5	14,552.6	15,037.9	92.1
03	დასუფთავება და გარემოს დაცვა	3,467.4	0.0	3,467.4	2,966.6	0.0	2,966.6	85.6
04	განათლება	5,979.9	488.4	5,491.6	5,496.0	435.5	5,060.5	91.9

05 00	კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობა და სპორტი	6,503.4	141.3	6,362.1	5,459.4	132.2	5,327.2	83.9
06 00	მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	3,693.0	319.0	3,374.0	3,617.8	314.8	3,303.0	98.0

- 1) მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები (ორგანიზაციული კოდი 01 00) საანგარიშო პერიოდში მართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯებმა 6460,0 ათასი ლარი შეადგინა, რაც გეგმიური მაჩვენებლის (7181,6 ათასი ლარი) 90,0 პროცენტია. ხოლო წინა წელთან შედარებით (2023 წლის ბიუჯეტის მმართველობის და საერთო დანიშნულების ხარჯების დაფინანსებამ შეადგინა 5955,6 ათასი ლარი) დახარჯულია 504,4 ათასი ლარით მეტი.

აღნიშნული პროგრამით დაფინანსდა შემდეგი მიმართულებები: 1. მმართველობითი ხარჯი: მუნიციპალიტეტის საკრებულოს საქმიანობა - 1696,5 ათასი ლარი, მუნიციპალიტეტის მერია - 4735,7 ათასი ლარი, კადრების მომზადება - გადამზადება 27,8 ათასი ლარი. 2. საერთო დანიშნულების ხარჯი: საანგარიშო პერიოდში, მუნიციპალიტეტის მერის ბრძანების შესაბამისად სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი იქნა 23.8 ათასი ლარი, ხოლო საკასო ხარჯმა შეადგინა 23,4 ათასი ლარი, მათ შორის:

№	თარიღი	ბრძანებ. №	ბრძანების თარიღი	გამოყოფილი თანხა	საკასო ხარჯი
1	07.02.2024	48.48240383	წყალტუბოს მუნიციპალიტეტში 2024 წლის 06 თებერვალს მომხდარი სტიქიის (ძლიერი ქარი) შედეგად დაზიანებული სახურავების რეაბილიტაციამდე დროებითი სამუშაოების განხორციელების მიზნით წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან თანხის გამოყოფა ტენტის შესაძენად	3950	3950
2	06.03.2024	48.482406620	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან შპს „წყალი ანკარა“-ს წყალმომარაგების ობიექტზე ელ. ენერჯის კაბელისა და სხვა ელ. სამოტაჟო საქონლის შეძენის მიზნით თანხის გამოყოფის შესახებ	1500	1499.6
3	06.03.2024	48.482406618	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან ქუთაისიდან წყალტუბოს შემოსასვლელში არსებულ 20 მეტრიან საყრდენ ბოძზე განთავსებული გარე მოხმარების საქართველოს ეროვნული დროშა ძლიერი ქარების შედეგად დაზიანებული სარკისებრი ბადე დროშის შესაძენად თანხის გამოყოფა	9900	9900

4	28.03.2024	48.4824088001	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან 2024 წლის 22 - 24 აპრილს იმერეთის რეგიონის კურორტ წყალტუბოში ევროპის ისტორიულ თერმულ ქალაქთა ასოციაციის გენერალური ასამბლეის მაღალ დონეზე ორგანიზებისათვის, ქალაქის ტერიტორიაზე საქართველოს, ევროკავშირის, კურორტების განვითარების სააგენტოს და ევროპის ისტორიული თერმული ქალაქების გარე გამოყენების დროშების შესყიდვისათვის თანხის გამოყოფა	2000	1696
5	24.09.2024	48.482426821	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან ძალისმიერი სპორტის ტიტულოვანი სპორტსმენი თამაზ კუჭავას საერთაშორისო ფესტივალზე მონაწილეობისთვის თანხის გამოყოფის შესახებ	3000	3000
6	30.09.2024	48.48242744	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან წყალტუბოს მუნიციპალიტეტში 2024 წლის 28, 29 და 30 სექტემბერს მომხდარი ძლიერი სტიქიური მოვლენის - ქარის შედეგად, დაზიანებული ადგილობრივი მაცხოვრებლების კერძო სახლების და მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების სახურავების რეაბილიტაციისათვის თანხის გამოყოფის შესახებ	3400	3400
სულ თანხა:				23750	23445.6

1) ინფრასტრუქტურის განვითარება (ორგანიზაციული კოდი 02 00)

ინფრასტრუქტურის განვითარება საანგარიშო პერიოდში სულ დაფინანსდა 29590,5 ათასი ლარით, რაც გეგმის (32126,4 ათასი ლარი) 92,1 პროცენტია. თანხები გადანაწილდა შემდეგი მიმართულებით:

ათასი ლარი

პროგრამული კოდი	წყალტუბოს მუნიციპალიტეტი	2024 წლის ბიუჯეტის გეგმა			2024 წლის ბიუჯეტის ფაქტი			%
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები	
02 00	ინფრასტრუქტურის განვითარება	32,126.4	14,621.4	17,505.0	29,590.5	14,552.6	15,037.9	92.1
02 01	საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება	20,837.8	11,264.4	9,573.4	19,655.4	11,259.4	8,396.0	94.3

02 01 01	გზებისა და ტროტუარების კაპიტალური შეკეთება	17,758.6	10,626.1	7,132.5	17,010.9	10,676.3	6,334.6	95.8
02 01 02	გზებისა და ტროტუარების მიმდინარე შეკეთება	2,167.8	126.5	2,041.4	1,898.6	103.7	1,794.9	87.6
02 01 03	საგზაო ნიშნები და უსაფრთხოება	350.0	0.0	350.0	266.5	0.0	266.5	76.2
02 01 04	ხიდების და ბოგირების მშენებლობა	561.5	511.9	49.6	479.4	479.4	0.0	85.4
02 02 02	წყლის სისტემების განვითარება	3,490.8	1,688.2	1,802.6	2,937.0	1,673.9	1,263.1	84.1
02 02 01	სანიაღვრე სისტემების ექსპლოატაცია / რეაბილიტაცია	1,115.9	322.7	793.2	1,107.1	322.4	784.7	99.2
02 02 02	სასმელი წყლით უზრუნველყოფა	2,374.9	1,365.4	1,009.4	1,829.9	1,351.5	478.4	77.1
02 03	გარე განათება	985.0	0.0	985.0	924.9	0.0	924.9	93.9
02 03 01	გარე განათების ქსელის ექსპლოატაცია	800.0	0.0	800.0	756.3	0.0	756.3	94.5
02 03 02	გარე განათების ახალი ქსელის მოწყობა	185.0	0.0	185.0	168.6	0.0	168.6	91.1
02 04	ავარიული შენობების და სახლების რეაბილიტაცია	954.2	822.0	132.1	866.4	801.5	65.0	90.8
02 05	ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარება	1,109.6	0.0	1,109.6	901.9	0.0	901.9	81.3
02 06	კეთილმოწყობის ღონისძიებები	3,405.1	120.2	3,284.8	3,152.4	118.2	3,034.2	92.6
02 06 01	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამწვანება, გარე განათება და კეთილმოწყობა	2,182.1	0.0	2,182.1	2,095.0	0.0	2,095.0	96.0
02 06 02	შენობების ფასადების რეაბილიტაცია	118.6	0.0	118.6	117.2	0.0	117.2	98.8
02 06 03	საზოგადოებრივი სივრცეების მოწყობა-რეაბილიტაცია	792.3	120.2	672.1	628.2	118.2	510.0	79.3
02 06 04	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებები, გამწვანება - განაშენიანება	312.1	0.0	312.1	312.1	0.0	312.1	100.0
02 07	სოფლის მხარდაჭერის პროგრამა	882.0	713.0	169.0	856.0	699.7	156.3	97.1
02 08	საპროექტო - სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შექმნა	139.6	0.0	139.6	38.6	0.0	38.6	27.7
02 09	სამშენებლო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობა და ექსპერტიზა	200.0	0.0	200.0	153.2	0.0	153.2	76.6
02	მოქალაქეთა	118.6	13.5	105.1	104.6	0.0	104.6	88.2

10	ჩართულობა							
02 11	ოჯახების სოციალურ - ეკონომიკური გაძლიერების მხარდაჭერა	3.8	0.0	3.8	0.0	0.0	0.0	0.0

1. ინფრასტრუქტურის განვითარება (პროგრამული კოდი 02 00)

ა) საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება (პროგრამული კოდი 02 01)

დაფინანსებულია 19655,4 ათასი ლარით (გეგმიური მაჩვენებლის 20837,8 ათასი ლარის 94,3%-ია) შემდეგ ქვეპროგრამებზე:

02 01 01 გზებისა და ტროტუარების კაპიტალური შეკეთება

პროგრამის განმახორციელებელი: წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია (ინფრასტრუქტურის, კეთილმოწყობისა და შესყიდვების სამსახური)

2024 წლის გეგმა 17758,6 ათასი ლარი, დაფინანსდა - 17010,9 ათასი ლარით (მათ შორის კაპიტალური ტრანსფერი - 10676,3 ათასი ლარი), რაც გეგმის 95,8 %-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგი: რეაბილიტირებული საგზაო ინფრასტრუქტურა, კაპიტალურად შეკეთებული გზები. უზრუნველყოფილია უსაფრთხო და კომფორტული მიმოსვლა.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილი იყო წყალტუბოს მუნიციპალიტეტში არსებული დაზიანებული და ამორტიზირებული გზების კაპიტალური შეკეთება/რეაბილიტაცია და ახალი გზის მოწყობა ასფალტო ბეტონის ან/და ბეტონის საფარით.

საანგარიშო პერიოდში წყალტუბოს მუნიციპალიტეტში რგფ-ის დაფინანსებით შესრულდა ეტაპობრივად ადგილობრივი მნიშვნელობის გზები, კერძოდ:

- წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფ. მაღლაკში მე-12,13,16,20 ქუჩებზე გზების რეაბილიტაცია ბეტონის საფარით;
- სოფ. პატრიკეთში ბაზმანების, ლელაძეების და ეკლესიასთან მისასვლელი გზების რეაბილიტაცია ბეტონის საფარით;
- მუხიანი-ოფშკვითის დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია ბეტონის საფარით;
- სოფელ გეგუთში აღმაშენებლის, კუხიანიძეების და ფიროსმანის ქუჩებზე და ვარციხეჰესის დასახლებაში შიდა გზების რეაბილიტაცია ბეტონის საფარით;
- სოფელ ცხუნკური ჯვარის უბანი, სოფელ ცხუნკური-ბესიაური გზის, დედადვთისას მონასტერთან მისასვლელი გზის ბეტონის საფარით მოწყობა;
- წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ბანოჯაში მე-6 ქუჩისა და მელაძეების უბნის დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია ბეტონის საფარით;

- სოფელ ხომულში სახერხის უბანში, მე-5 ქუჩაზე და 27 ქუჩაზე, სოფელ ბანოჯაში №10, №17 და №7 სოფელ გუმბრა ბზიკაძეები სასაფლაოს მიმართულებით გზის ბეტონის საფარით მოწყობა.

- სოფელ მეორე უბანი №3, №6 ქუჩის მეორე ჩიხი და პირველი ჩიხი, №8 ქუჩა მესამე ჩიხი გზის ბეტონის საფარით მოწყობა;

- სოფელ ახალ საყულიაში ბაღის გზა, ჭელიძეები გზის, მირზა ჩანქსელიანის უბანი და სასაფლაოს გზის ბეტონის საფარით მოწყობა;

- სოფელ ჩუნეში №2 ქუჩა (ძეძილეთამდე), №11 ქუჩა (ცენტრალური გზა), №12-31 ქუჩის გზის ბეტონის საფარით მოწყობა;

- სოფელ მეორე უბანი №3, №6 ქუჩის მეორე ჩიხი და პირველი ჩიხი, №8 ქუჩა მესამე ჩიხი გზის ბეტონის საფარით მოწყობა.

საანგარიშო პერიოდში ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაფინანსდა ადგილობრივი მნიშვნელობის გზები, კერძოდ:

- წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ გეგუთში გრიშაშვილის ქუჩაზე გზების რეაბილიტაცია ბეტონის საფარით.

- სოფელ გვიშტიბში ჩავჩიძეების უბანში გზის რეაბილიტაცია ბეტონის საფარით.

- ყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ გუმბრაში ყოფილი უნივერსიტეტის უკან გზის რეაბილიტაცია ბეტონის საფარით.

- წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ გუმბრაში სასაფლაოსთან მისასვლელი გზის რეაბილიტაცია ბეტონის საფარით.

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ გუმბრაში მელაძეებისა და სინაურიძეების უბანში გზის რეაბილიტაცია ბეტონის საფარით.

- წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ მუხიანში ქვაჩაკეების უბანში გზების რეაბილიტაცია ბეტონის საფარით.

- წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ქვიტირში მე-15 ქუჩის გზების რეაბილიტაცია ბეტონის საფარით.

- წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ქვიტირში მეექვსე ქუჩის მე-17 ჩიხის გზების რეაბილიტაცია ბეტონის საფარით.

- წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ქვიტირში პირველი ქუჩის მე-10 ჩიხის გზების რეაბილიტაცია ბეტონის საფარით.

- წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ქვიტირში პირველი ქუჩის მე-11 ჩიხის გზების რეაბილიტაცია ბეტონის საფარით.

- წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ სორმონში (ვახტანგაძეების უბანში), გუმბრის ადმინისტრაციულ ერთეულში, სოფელ წყალტუბოში პირველი ქუჩის მე-4 და მე-5 ჩიხებში გზის ბეტონის საფარით მოწყობა.

- ქალაქ წყალტუბოში, დედაენის ქუჩაზე გზების მოწყობა ბეტონის საფარით.

- სოფლებში გუმბრაში, ქვილიმორში, ხომულში და ქვიტირში შიდა გზების ბეტონის საფარით მოწყობა;

- წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ტყაჩირში გიგატაძეების და აგიაშვილების უბნებში გზების ბეტონის საფარით მოწყობა.
- 2024-2025 წლების დაფინანსების ფარგლებში, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის, სოფელ მალლაკში ჭეიშვილების უბანში, გზის ბეტონის საფარით მოწყობის სამუშაოები.
- 2024-2025 წლების დაფინანსების ფარგლებში, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ უკანეთში გვანცელაძეების უბანში გზის ბეტონის საფარით მოწყობის სამუშაოები.

ასევე დაფინანსდა საქართველოს მთავრობის 2024 წლის #550 განკარგულებით წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ლეხინდრისთავისა და ტყიბულის მუნიციპალიტეტის სოფელ ლეყერეთის დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია ბეტონის საფარით (2023-2024 წლების დაფინანსების ფარგლებში).

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი - მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე კმაყოფილი მოსახლეობა 90%.

დაგეგმილი მაჩვენებელი - პროგრამით მოსარგებლე მოსახლეობის არანაკლებ 90%.

მიღწეული მაჩვენებელი - საბაზისო მაჩვენებელი შენარჩუნდა.

02 01 02 გზებისა და ტროტუარების მიმდინარე შეკეთება

პროგრამის განმახორციელებელი: წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია (ინფრასტრუქტურის, კეთილმოწყობისა და შესყიდვების სამსახური)

2024 წლის გეგმა 2167,8 ათასი ლარი, დაფინანსდა - 1898,6 ათასი ლარით, რაც გეგმის 87,6%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგი: მოსახლეობის კომფორტული და უსაფრთხო გადაადგილებისათვის შეკეთებული და მოწესრიგებული გზები.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაფინანსდა წყალტუბოს მუნიციპალიტეტის შიდა გზების თოვლის საფარისაგან გაწმენდისა და სტიქიის შედეგად მიყენებული ზიანის აღმოფხვრის სამუშაოები. ასევე დაფინანსდა შიდა საავტომობილო გზების მიმდინარე შეკეთების (მოვლა - შენახვის) სამუშაოები. ასევე „მოქალაქეთა ჩართულობის განვითარების ხელშეწყობის ფარგლებში“ მოქალაქეთა ინიციატივების საფუძველზე დაფინანსდა სოფელ დღნორისის, ცხუნკურის, ჩუნეშის, მექვენის ადმინისტრაციულ ერთეულში შიდა

საუბნო გზის მოხვნა-მოსწორების და ჩამოშლილი ფერდის მოჭრის სამუშაოების, სოფელ მექვენის ადმინისტრაციულ ერთეულში შიდა საუბნო გზის მოხვნა-მოსწორების სამუშაოების, სოფელ ოფურჩხეთის ადმინისტრაციულ ერთეულში შიდა საუბნო გზის მოხვნა-მოსწორების სამუშაოებისა და სოფელ რიონის ადმინისტრაციულ ერთეულში შიდა საუბნო გზის მოხვნა-მოსწორების სამუშაოები.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი - მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე კმაყოფილი მოსახეობა 90%.

დაგეგმილი მაჩვენებელი - პროგრამით მოსარგებლე მოსახლეობის არანაკლებ 90%.

მიღწეული მაჩვენებელი - საბაზისო მაჩვენებელი შენარჩუნდა.

02 01 03 საგზაო ნიშნები და უსაფრთხოება

პროგრამის განმახორციელებელი: წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია (ინფრასტრუქტურის, კეთილმოწყობისა და შესყიდვების სამსახური)

2024 წლის გეგმა 350,0 ათასი ლარი, დაფინანსდა - 266,5 ათასი ლარით, რაც გეგმის 76,2%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგი: მოსახლეობის კომფორტული და უსაფრთხო გადაადგილებისათვის შეკეთებული და მოწესრიგებული გზები.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაფინანსდა წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კამერების მოვლა - შენახვა. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ გეგუთში და წყალტუბო ქუთაისის დამაკავშირებელი გზის მონაკვეთზე სატრანსპორტო საშუალებების სახელმწიფო ნომრის ამომცნობი ვიდეოკამერებისა და ზოგადი ხედვის კამერების შემენა-მონტაჟი-ინსტალაცია. სატრანსპორტო საშუალებების სახელმწიფო ნომრის ამომცნობი ზოგადი ხედვის კამერების შემენა. სიჩქარის შემზღვევადი ბარიერების მოწყობა, აბრების და ტრაფარეტების შემენა.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი - მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე კმაყოფილი მოსახეობა 90%.

დაგეგმილი მაჩვენებელი - პროგრამით მოსარგებლე მოსახლეობის არანაკლებ 90%.

მიღწეული მაჩვენებელი - საბაზისო მაჩვენებელი შენარჩუნდა.

02 01 04 ხიდების და ბოგირების რეაბილიტაცია

პროგრამის განმახორციელებელი: წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია (ინფრასტრუქტურის, კეთილმოწყობისა და შესყიდვების სამსახური)

2024 წლის გეგმა 561,5 ათასი ლარი, დაფინანსდა - 479,4 ათასი ლარით, რაც გეგმის 85,4%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგი: მოსახლეობის კომფორტული და უსაფრთხო გადაადგილებისათვის შეკეთებული და მოწესრიგებული გზები.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა 2023 წლის გარდამავალი პროექტი, კერძოდ 16-17 ივლისს მომხდარი სტიქიის შედეგად (ძლიერი წვიმა და ღვარცოფი) დაზიანებული მდინარე ოლასკურაზე არსებული სამი ხიდ-ბოგირის სარეაბილიტაციო სამუშაოები. ასევე დაფინანსდა „მოქალაქეთა ჩართულობის განვითარების ხელშეწყობის“ ფარგლებში წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფლებში რიონსა და ნოლაში ხიდბოგირის მოწყობა.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი - მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე კმაყოფილი მოსახეობა 90%.

დაგეგმილი მაჩვენებელი - პროგრამით მოსარგებლე მოსახლეობის არანაკლებ 90%.

მიღწეული მაჩვენებელი - საბაზისო მაჩვენებელი შენარჩუნდა.

ბ) წყლის სისტემების განვითარება (პროგრამული კოდი 02 02) დაფინანსებულია 3490,8 ათასი ლარით (გეგმიური მაჩვენებლის 3616.9 ათასი ლარის 45.2%-ია) შემდეგ ქვეპროგრამებზე:

02 02 01 საწარვრე სისტემების ექსპლოატაცია / რეაბილიტაცია

პროგრამის განმახორციელებელი: წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია (ინფრასტრუქტურის, კეთილმოწყობისა და შესყიდვების სამსახური)

2024 წლის გეგმა 1115,9 ათასი ლარი, დაფინანსდა - 1107,1 ათასი ლარით, რაც გეგმის 99,2 %-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგი: მუნიციპალიტეტის მოსახლეობას გააჩნია შეუფერხებელი წვდომა სასმელ წყალზე.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა

- ქალაქ წყალტუბოში, ევდომილის ქუჩაზე არსებული სანიაღვრე სისტემის სარეაბილიტაციო სამუშაოები;
- ქალაქ წყალტუბოში, ყაზბეგის ქუჩაზე არსებული სანიაღვრე სისტემის სარეაბილიტაციო სამუშაოები;
- წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ გვიშტიბში (კირთაძეების უბანში) სანიაღვრე სისტემის სარეაბილიტაციო სამუშაოები;
- სოფელ ტყაჩირში (ლანჩავების, ჩხობაძეებისა და ღვინიაძეების უბნებში) სანიაღვრე სისტემის სარეაბილიტაციო სამუშაოები;
- სოფელ თერნალში არსებული სანიაღვრე სისტემის სარეაბილიტაციო სამუშაოები.
- ქალაქ წყალტუბოში 9 აპრილის ქუჩის მე-3 შესახვევში N3 ბინის მიმდებარედ ახალი სადრენაჟო სისტემის მოწყობის სამუშაოები.
- სოფელ გვიშტიბში თამარ მეფის ქუჩაზე ახალი სანიაღვრე არხის მოწყობის სამუშაოები.

„მოქალაქეთა ჩართულობის განვითარების ხელშეწყობის“ ინიციატივის ფარგლებში დაფინანსდა სოფელ წყალტუბოში, ლორთქიფანიძის ქუჩის მე-7 და მე-8 შესახვევებში, ქალაქ წყალტუბოში, რუსთავისა და ბესიკის ქუჩებზე, სოფელ გვიშტიბში კირთაძეების ქუჩის გაგრძელებაზე სანიაღვრე არხების მოწყობის, ქალაქ წყალტუბოში, ქუთაისის ქუჩიდან გ. ტაბიძის ქუჩის მიმართულებით გამავალი არხის, ასევე გოგებაშვილისა და კოსტავას ქუჩებზე გამავალი არხის ამოწმენდის, დაღრმავებისა და გაფართოების სამუშაოები.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი - მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე კმაყოფილი მოსახლეობა 90%.

დაგეგმილი მაჩვენებელი - პროგრამით მოსარგებლე მოსახლეობის არანაკლებ 90%.

მიღწეული მაჩვენებელი - საბაზისო მაჩვენებელი შენარჩუნდა.

02 02 02 სასმელი წყლით უზრუნველყოფა

პროგრამის განმახორციელებელი: წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია (ინფრასტრუქტურის, კეთილმოწყობისა და შესყიდვების სამსახური)

2024 წლის გეგმა 2374,9 ათასი ლარი, **დაფინანსდა** - 1829,9 ათასი ლარით, რაც გეგმის 77,1 %-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგი: მუნიციპალიტეტის მოსახლეობას გააჩნია შეუფერხებელი წვდომა სასმელ წყალზე.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა სასმელი წყლის კომუნალური ხარჯის ანაზღაურება. ასევე დაფინანსდა:

საანგარიშო პერიოდში ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაფინანსდა:

- წყალტუბოში სოფელ ჩუნეშში 27-ე ქუჩაზე, სოფელ წყალტუბოში და სოფელ ხომულში მე-13 ჩიხში სასმელი წყლის ქსელის მოწყობის საუშაოები.
- რგგ-ის დაფინანსებით განხორციელდა:
- წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ჯიმასტაროში სასმელი წყლის მაგისტრალისა და ქსელის მოწყობის სამუშაოები;
 - წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ქვილიშორში (ქვედა ქვილიშორში) სასმელი წყლის ქსელისა და მაგისტრალის რეაბილიტაცია - მოწყობა.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი - მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე კმაყოფილი მოსახლეობა 90%.

დაგეგმილი მაჩვენებელი - პროგრამით მოსარგებლე მოსახლეობის არანაკლებ 90%.

მიღწეული მაჩვენებელი - საბაზისო მაჩვენებელი შენარჩუნდა.

გ) გარე განათება (პროგრამული კოდი 02 03) დაფინანსებულია 924,9 ათასი ლარით (გეგმიური მაჩვენებლის 985,0 ათასი ლარის 93,9%-ია) შემდეგ ქვეპროგრამებზე:

02 03 01 გარე განათების ქსელის ექსპლოატაცია

პროგრამის განმახორციელებელი: წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია (ინფრასტრუქტურის, კეთილმოწყობისა და შესყიდვების სამსახური)

2024 წლის გეგმა 800,0 ათასი ლარი, დაფინანსდა - 756,3 ათასი ლარით, რაც გეგმის 94,5%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგი: მთელი წლის მანძილზე გარე განათების სისტემა ფუნქციონირებს გამართულად.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: მოსახლეობის უსაფრთხო გადაადგილებისათვის აუცილებელია ქალაქის გარე განათების ქსელის შეუფერხებელი ფუნქციონირება, ასევე, ახალი ლედ ტიპის ეკონომიური სანათების დაყენებით ელექტროენერჯის

ხარჯის შემცირება. გარე განათების ქსელის მოხმარებული ელექტროენერჯის ხარჯის ანაზღაურებისთვის გათვალისწინებული ასიგნებები ხმარდება წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული, მუნიციპალიტეტის ბალანსზე აღრიცხულ განათების წერტილების მიერ მოხმარებული ელექტროენერჯის ხარჯების ანაზღაურებას.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი - მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე კმაყოფილი მოსახეობა 90%.

დაგეგმილი მაჩვენებელი - პროგრამით მოსარგებლე მოსახლეობის არანაკლებ 90%.

მიღწეული მაჩვენებელი - საბაზისო მაჩვენებელი შენარჩუნდა.

02 03 02 გარე განათების ახალი ქსელის მოწყობა

პროგრამის განმახორციელებელი: წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია (ინფრასტრუქტურის, კეთილმოწყობისა და შესყიდვების სამსახური)

2024 წლის გეგმა 185,0 ათასი ლარი, დაფინანსდა - 168,6 ათასი ლარით, რაც გეგმის 91,1%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგი: მთელი წლის მანძილზე გარე განათების სისტემა ფუნქციონირებს გამართულად.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში მოხდა საგარანტიო თანხის ანაზღაურება. ასევე ეტაპობრივად ფინანსდება:

- ქალაქ წყალტუბოში დედა-ენის ქუჩაზე მე-2 ჩიხში გარე განათების მოწყობის სამუშაოები;
- წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ბანოჯაში, გარე განათების ქსელის მოწყობა;
- წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ გუბისწყალი, გარე განათების ქსელის მოწყობა;
- ქალაქ წყალტუბოში ყაზბეგის ქუჩის მე-6 ჩიხში გარე განათების ქსელის მოწყობა.
- წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ მაღლაკში მე-10 ქუჩის 1 ჩიხში გარე განათების ქსელის მოწყობა.

- წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ თერნალში, გუმათში, გეგუთში (ვარციხჭესის დასახლებაში), საყულიაში, ხომულში (27-ე ქუჩაზე), გუმბრასა და მალლაკში (მე-6 და მე-9 ქუჩებზე) გარე განათების ქსელის მოწყობა.
- ქალაქ წყალტუბოში ნინოშვილის ქუჩაზე გარე განათების ქსელის მოწყობა.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- **საბაზისო მაჩვენებელი** - მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე კმაყოფილი მოსახლეობა 90%.
- **დაგეგმილი მაჩვენებელი** - პროგრამით მოსარგებლე მოსახლეობის არანაკლებ 90%.
- **მიღწეული მაჩვენებელი** - საბაზისო მაჩვენებელი შენარჩუნდა.

დ) ავარიული შენობების და სახლების რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 02 04)

პროგრამის განმახორციელებელი: წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია (ინფრასტრუქტურის, კეთილმოწყობისა და შესყიდვების სამსახური)

2024 წლის გეგმა 954,2 ათასი ლარი, დაფინანსდა - 866,4 ათასი ლარით, რაც გეგმის 90,8 %-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგი: მოქალაქეებისთვის შექმნილი უსაფრთხო გარემო.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: პროგრამის ფარგლებში დაფინანსდა 2024 წლის 6 – 7 თებერვალს მომხდარი სტიქიის (ძლიერი წვიმა და ქარი) შედეგად მიყენებული ზარალის ასანაზღაურებლად კერძო 36 საცხოვრებელი სახლების დაზიანებების აღმოსაფხვრელად სამშენებლო მასალების შეძენა (გოფირებული - მოთუთოებული თუნუქი, სამშენებლო ბლოკები, ხის მასალები კოჭი და ფიცარი) და 17 მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების სახურავების რეაბილიტაციის სამუშაოები. ასევე კაპიტალურად შეკეთდა დაზიანებული 19 კორპუსის სახურავი ქალაქ წყალტუბოში, სოფელ თერნალსა და მუხიანში. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ნამოხვანში ბიბლიოთეკის ყოფილი შენობის რეაბილიტაცია. კოპიტნარის ბაღის შემოღობვა.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი - მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე კმაყოფილი მოსახლეობა 90%.

დაგეგმილი მაჩვენებელი - პროგრამით მოსარგებლე მოსახლეობის არანაკლებ 90%.

მიღწეული მაჩვენებელი - საბაზისო მაჩვენებელი შენარჩუნდა.

ე) ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარება (პროგრამული კოდი 02 05)

პროგრამის განმახორციელებელი: წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია (ინფრასტრუქტურის, კეთილმოწყობისა და შესყიდვების სამსახური)

2024 წლის გეგმა 1109,6 ათასი ლარი, დაფინანსდა - 901,9 ათასი ლარით, რაც გეგმის 81,3 %-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგი: გაუმჯობესებული და კომფორტული საცხოვრებელი გარემო.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: პროგრამის ფარგლებში ფინანსდება წყალტუბოს მუნიციპალიტეტში არსებული ამხანაგობების თანადაფინანსება საცხოვრებელი კორპუსებისა და უბნების კეთილმოწყობისათვის, კერძოდ: დაფინანსდა 2023 წლის გარდამავალი პროექტი ქალაქ წყალტუბოში ნინოშვილის პირველ ჩიხში #5 საერთო საცხოვრებელი ბინის მოაჯირებისა და ფასადის რეაბილიტაციასოფელ თერნალში მე-10 ქუჩის #3 ბინის გარე ფასადისთეთრი ცემენტის ხსნარით დაშეფვა. ხოლო 2024 წლის დაფინანსებით საანგარიშო პერიოდში გაფორმდა ხელშეკრულებები 15 საცხოვრებელ კორპუსში სახურავებისა და სადარბაზოების შეკეთებაზე, რაც ეტაპობრივად ფინანსდება ადგილობრივი ბიუჯეტიდან 85%, ხოლო თანადაფინანსებით 15%. საანგარიშო პერიოდში დასრულდა ქალაქ წყალტუბოში აფხაზეთის ქუჩაზე #14 და #16 კორპუსების სახურავების სრული რეაბილიტაციის სამუშაოები, დასრულების პროცესშია ქალაქ წყალტუბოში 9 აპრილის ქუჩაზე #10 და კოპიტნარის დევნილთა დასახლების #9 და #14 მრავალბინიანი კორპუსებში სახურავების შეკეთებიტი სამუშაოები.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი - მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე კმაყოფილი მოსახლეობა 90%.

დაგეგმილი მაჩვენებელი - პროგრამით მოსარგებლე მოსახლეობის არანაკლებ 90%.

მიღწეული მაჩვენებელი - საბაზისო მაჩვენებელი შენარჩუნდა.

ვ) კეთილმოწყობის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 02 06) დაფინანსებულია 3152,4 ათასი ლარით (გეგმიური მაჩვენებლის 3405,1 ათასი ლარის 92,6%-ია) შემდეგ ქვეპროგრამებზე:

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამწვანების, გარე განათებისა და კეთილმოწყობა (პროგრამული კოდი 02 06 01) 2024 წლის 14 მარტს განხორციელდა ა(ა)იპ წყალტუბოს კეთილმოწყობისა და დასუფთავების გაერთიანების რეორგანიზაცია და შეიქმნა ა(ა)იპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამწვანების, გარე განათებისა და კეთილმოწყობის ცენტრი.

პროგრამის განმახორციელებელი: ა(ა)იპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამწვანების, გარე განათებისა და კეთილმოწყობის ცენტრი

2024 წლის გეგმა 2182,1 ათასი ლარი, დაფინანსდა 2095,0 ათასი ლარი, რაც გეგმის 96,0%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგი: ქალაქის გაუმჯობესებული იერსახე;

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამწვანების, გარე განათებისა და კეთილმოწყობის ცენტრის“ მიერ შესრულებულია შემდეგი სახის სამუშაოები: წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოიჭრა გამხმარი, ფაუტიანი და ავარიული ხეები. კოპიტნარის დასახლებაში დაქირავებული ამწე-კრანისა და ამწე-კალათის საშუალებით გადაიბელა ალვის ჯიშის ხეები, ასევე მოიჭრა ხეები ქალაქში ორ ლოკაციაზე და სოფელ ჟონეთის სასაფლაოზე, ხოლო მიღებული საშეშე მერქანი გადაეცათ სოციალურად დაუცველ ოჯახებს. ბენზოცელების, სათიბი ტრაქტორებისა და ბალახის სათიბი მანქანების საშუალებით სისტემატურად იცელებოდა სანატორიუმ სავანის, რკინიგზის სადგურის, ცენტრალური პარკისა და ქალაქის ქუჩების მიმდებარე გაზონები და სკვერები. კირის ხსნარით შეიღება ტაბიძის, რუსთაველის, სულხან საბას, ჭავჭავაძის ქუჩებზე, სპორტული დარბაზის და ცენტრალურ პარკში ფანტანების მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული ხე-მცენარეები. სოფელ გვიშტიბში მეორე მსოფლიო ომში დაღუპულთა ძმათა სასაფლაოზე კირის ხსნარით შეიღება მემორიალი, ბეტონის კედლები და ბორდიურები. ქალაქისა და ცენტრალური პარკის ტერიტორიაზე არსებულ მცენარეებს, კერძოდ ჯუჯა ნამვებს, კავკასიურ სოჭს, ტუია სმარაგდას, გართხმულ ღვიას, ბზებს, ოქროსფერ და ვერცხლისფერ კვიპაროსებს ჩაუტარდათ შეწამვლა და ფესვთა სისტემების გამოკვება შესაბამისი სასუქებითა და სტიმულატორებით. ქალაქისა და ცენტრალური პარკის ტერიტორიაზე დაირგო სხვადასხვა ჯიშის ნერგები და ყვავილები. ქალაქის მთელ ტერიტორიაზე შეტანილი იქნა სასუქი და შემოიბარა ხე-ნარგავები და დეკორატიული მცენარეები. პარკის მთელ ტერიტორიაზე ახალ ხე-ნარგავებს შეეცვალა ბიჯგები და შეიკრა ბაწრის საშუალებით.

პერიოდულად იწმინდებოდა სანიაღვრე არხები ქალაქის ქუჩებისა და ცენტრალური პარკის ტერიტორიაზე. ივნისის თვეში გადაუღებელი წვიმების დროს ოპერატიულად გაიწმინდა სანიაღვრე არხების ცხაურები, რამაც საშუალება მისცა მოვარდნილ ნაკადს მეტი გადინების საშუალება ჰქონოდა, რის შედეგადაც ქალაქის რიგი ტერიტორიები დატბორვას გადაურჩა.

ქალაქის ტერიტორიაზე ყოველდღიურად ხორციელდებოდა შემოვლითი სამუშაოები მოხეტიალე პირუტყვის აღკვეთის მიზნით.

ქალაქის ტერიტორიაზე, სოფელ მალლაკში და სოფელ ფარცხანაყანევში გრეიდერის საშუალებით ჩატარდა გზის პროფილების აღდგენითი სამუშაოები.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული გარე განათების ქსელში განხორციელდა შემდეგი სახის სამუშაოები: კერძოდ, ქალაქის ტერიტორიაზე კეცხოველის, ევდოშვილის, ფარნავაზ მეფის, მესხისა და დუმბაძის ქუჩებში შეიცვალა ლამპიონები. 9 აპრილისა და ტაბიძის ქუჩებში ახლებით შეიცვალა 100 ვატიანი სანათები. ცენტრალური პარკისა და რუსთაველისა ქუჩაზე შეიცვალა არსებული დაზიანებული დროსელზე მომუშავე სოდიუმის 150 ვატიანი ნათურები. ქალაქის ტერიტორიაზე შეიცვალა დაზიანებული გარე განათების ბოძები, ელექტრო სადენები და კრონშტეინები. მკვებავ კარადებში შეიცვალა დაზიანებული ელექტრო მოწყობილობები (ელექტრო ამომრთველები, იგნიტორები, ელექტრომაგნიტური გამშვებები და ფოტორელეები). სოფლებში (გუმბრა, ბანოჯა, ხომული, გუმბრინი, ცხუნკური, ყუმისთავი, ქვილიშორი, წყალტუბო, გუბისწყალი, ქვილიშორი, ცხუნკური, ჩუნეში) შეიცვალა დაზიანებული ეკოლამპიონები და ეკონათურები. შეიცვალა, ასევე, კარადები, ელექტრო სადენები და ელექტრო მოწყობილობები.

სოფლებში (მუხიანი, საყულია, ოფშკვითი) აბსოლუტურად ყველა ჩიხში ახლებით შეიცვალა ეკოლამპიონები. სოფლებში (მალლაკი, ფარცხანაყანევი, ქვიტირი, გეგუთი, ბროწეულა, პატრიკეთი, მესხეთი) შეიცვალა დაზიანებული ეკო ლამპიონები, ნათურები, ელექტრო სადენები და ელექტრო მოწყობილობები. სოფლებში (გუმათი, ოფურჩხეთი, ჟონეთი, ნამოხვანი, რიონი, სორმონი, ზარათი, მოლეკურა, მექვენა, დერჩი, დღნორისა, ჭაშლეთი, ლეხინდრისთავი, საჩხეურა) შეიცვალა დაზიანებული ეკოლამპიონები და ეკონათურები. შეიცვალა, ასევე, კარადები, ელექტრო სადენები და ელექტრო მოწყობილობები. სოფელ ქვიტირში ქუთაისი-ბათუმის დამაკავშირებელ ცენტრალურ მაგისტრალზე შეიცვალა დაზიანებული სოდიუმის ნათურები, იგნიტორები და დროსელები. კარადებში შეიცვალა დაზიანებული ელექტრო ამომრთველები, ელექტრომაგნიტური გამშვებები და ფოტორელეები. დაქირავებული ავტო-კრანის საშუალებით შესწორდა წამოქცეული გარე განათების ბოძები. ქუთაისი-წყალტუბოს დამაკავშირებელ ცენტრალურ მაგისტრალზე შეიცვალა დაზიანებული ელექტრო ლამპიონები და ჩიპ ნათურები. მკვებავ კარადებში შეიცვალა დაზიანებული ელექტრო მოწყობილობები (ელექტრო ამომრთველები, იგნიტორები, ელექტრომაგნიტური გამშვებები და ფოტორელეები).

მიღწეული შუღედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი - 2023 წელს დარგული ხე-მცენარეების რაოდენობა 150.

დაგეგმილი მაჩვენებელი - საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება.

მიღწეული მაჩვენებელი - საანგარიშო პერიოდში დაირგო 145 ხე.

შენიშვნის ფასადების რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 02 06 02)

პროგრამის განმახორციელებელი: წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია (ინფრასტრუქტურის, კეთილმოწყობისა და შესყიდვების სამსახური)

2024 წლის გეგმა 118,6 ათასი ლარი, დაფინანსდა - 117,2 ათასი ლარით, რაც გეგმის 98.8 %-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგი: მოსახლეობის სამოქალაქო აქტივობების სრულყოფილად განხორციელების მიზნით მოწესრიგებულია და რეაბილიტირებულია მუნიციპალიტეტში არსებული სივრცეები.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა ქალაქ წყალტუბოში, კოლხეთის ქუჩა #2-ში მდებარე შენობის ფასადისა და სახურავის რეაბილიტაცია;

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი - ფასადის რეაბილიტაცია 0

დაგეგმილი მაჩვენებელი - ფასადის რეაბილიტაცია 1

მიღწეული მაჩვენებელი - ფასადის რეაბილიტაცია 1

საზოგადოებრივი სივრცეების მოწყობა - რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 02 06 03)

პროგრამის განმახორციელებელი: წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია (ინფრასტრუქტურის, კეთილმოწყობისა და შესყიდვების სამსახური)

2024 წლის გეგმა 792,3 ათასი ლარი, დაფინანსდა - 628,2 ათასი ლარით, რაც გეგმის 79,3 %-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგი: მოსახლეობის სამოქალაქო აქტივობების სრულყოფილად განხორციელების მიზნით მოწესრიგებულია და რეაბილიტირებულია მუნიციპალიტეტში არსებული სივრცეები.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: პროგრამის ფარგლებში დაფინანსდა 2023 წლის გარდამავალი პროექტი წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ გუმათში და სოფელ ქვედა მესხეთში ბროწეულას დასახლებაში ტრენაჟორების მოწყობის სამუშაოები. ასევე ურბანული წარმოსახვის პროგრამის ფარგლებში მოპოვებული საერთაშორისო გრანტით დაფინანსდა სოფელ ჩუნეშში ნიკო ლორთქიფანიძის სახლ-მუზეუმის ეზოში

ამფითეატრისა და საპირფარეშოს დარჩენილი ნაწილის რეაბილიტაცია მოწყობის სამუშაოები. ცენტრალური პარკის ტერიტორიაზე გალაქტიონ ტაბიძის მემორიალური ბიუსტისა და კვარცხლბეკის მოწყობა და მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობა. ქალაქ წყალტუბოში 9 აპრილის ქუჩაზე #7 ბინასთან სკვერის მოწყობის სამუშაოები. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფლებში გეგუთში ვარციხჰესის დასახლებაში, გუმბრაში (გუმბრინის დასახლება) და ქვიტირში სკვერის მოწყობა, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ გუმბრაში (გუმბრინის დასახლება) წისქვილთან არსებული წყაროსა და მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობა, ქ. წყალტუბოში, ბალანჩივადის ქუჩაზე მცირე ზომის ფანჩატურის მოწყობა, სოფელ ახალ საყულიაში ფანჩატურის მოწყობა, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ზედა მესხეთში არსებული მოსაცდელის რეაბილიტაციის სამუშაოსათვის. „მოქალაქეთა ჩართულობის განვითარების ხელშეწყობის“ ინიციატივების ფარგლებში მოეწყო მგზავრთა მოსაცდელეები წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 5 ლოკაციაზე.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი - მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე კმაყოფილი მოსახეობა 90%.

დაგეგმილი მაჩვენებელი - პროგრამით მოსარგებლე მოსახლეობის არანაკლებ 90%.

მიღწეული მაჩვენებელი - საბაზისო მაჩვენებელი შენარჩუნდა.

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებები, გამწვანება - განაშენიანება (პროგრამული კოდი 02 06 04)

პროგრამის განმახორციელებელი: ა(ა)იპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და დასუფთავების გაერთიანება

2024 წლის საანგარიშო პერიოდის გეგმა 312,1 ათასი ლარი, დაფინანსდა - 312,1 ათასი ლარით, რაც გეგმის 100 %-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგი: გაუმჯობესებული ქალაქის იერსახე;

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: ქვეპროგრამის ფარგლებში საანგარიშო პერიოდში განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები: გარე განათების, დეკორატიული განათების სრულფასოვანი ფუნქციონირების უზრუნველყოფა; სანიაღვრე არხებისა და 72 სანიაღვრე ჭის გაწმენდა, მოვლა-პატრონობა, ცივი ტბისა და ცივი ტბისგან გამომდინარე არხების მოვლა - პატრონობა; წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წვრილფეხა ან / და მსხვილფეხა პირუტყვის მეთვალყურეობის ქვეშ ან მეთვალყურეობის გარეშე ყოფნის აღკვეთა; მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული შუქნიშნებისა და ვიდეოსამეთვალყურეო სისტემის მოვლა-პატრონობა; ქალაქისა და მუნიციპალიტეტის განსაზღვრული ტერიტორიების გამწვანებაზე ზრუნვა, სკვერებისა და ხე-ნარგავების

მოვლა-პატრონობა; ცენტრალური პარკის ტერიტორიაზე გაიწმინდა და მოიჭრა გამხმარი ხეები; დაავადებული სოკოვანი დაავადებებისაგან შეიწამლა ხე-მცენარეები; დაირგო ახალი ჯიშის ხეები (105 ძირი ლუგუხტუნი, 20 ძირი ნეკერჩხალი, 20 ძირი ნამვის ხე), ასევე განახლდა ბუების ხეივანი. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სხვადასხვა ლოკაციაზე მოიჭრა სტიქიის შედეგად დაზიანებული სამი ალვის ხე, რვა ნამვის ხე, ექვსი ჭადრის ხე, ერთი მუხის ხე და ასევე დამუშავდა 13 ნამვის ხე და ორი ჭადარი.

2024 წლის 14 მარტს განხორციელდა ა(ა)იპ წყალტუბოს კეთილმოწყობისა და დასუფთავების გაერთიანების რეორგანიზაცია.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი - 2023 წელს დარგული ხე-მცენარეების რაოდენობა 150.

დაგეგმილი მაჩვენებელი - საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება.

მიღწეული მაჩვენებელი - საანგარიშო პერიოდში დაირგო 145 ხე.

ზ) სოფლის მხარდაჭერის პროგრამა (პროგრამული კოდი 02 07) 2024 წლის გეგმა 882,0 ათასი ლარი, დაფინანსდა - 856,0 ათასი ლარით, რაც გეგმის 97,1 %-ია.

პროგრამის განმახორციელებელი: წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია (ინფრასტრუქტურის, კეთილმოწყობისა და შესყიდვების სამსახური)

დაგეგმილი შუალედური შედეგი: სოფლად ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: პროგრამის ფარგლებში საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადების მომსახურება, დაფინანსდა სამუშაოები სოფელ გეგუთში - მეურნეობის დასახლებაში საერთო საცხოვრებელი ბინის ეზოს 2 შემოღობვა, ასევე კულტურის სახლის რეაბილიტაცია, სოფელ გვიშტიბში - სასაფლაოს ღობის მოწყობა, პირველი წყალტუბო - სანიაღვრე არხების მოწყობა, ბანოჯა - თორნისწყაროზე სკვერის მოწყობა, დღნორისა - სოფლის შიდა საუბნო გზების მოხვნა-მოწესრიგება, ლეხიდრისთავი - სოფლის შიდა საუბნო გზების მოხვნა-მოწესრიგება, საჩხეური - სოფლის შიდა საუბნო გზების მოხვნა-მოწესრიგება, მალლაკი - ზედა მალლაკში ფანჩატურის მოწყობა, მიწაწითელი - გარე განათების ქსელის მოწყობა, დერჩი - სოფლის ცენტრში მდებარე შენობის რეაბილიტაცია, ვანისჭალა - სოფლის შიდა საუბნო გზების მოხვნა-მოწესრიგება, მუხიანი - რკინიგზის და საზოგადოებრივი ტრანსპორტის მოსაცდელის მიმდებარედ გარე განათების ქსელის მოწყობა, ქვედა მესხეთი - გარე განათების ქსელის მოწყობა, ოფურჩხეთი - გარე განათების ქსელის მოწყობა, გუმათი - გარე განათების ქსელის მოწყობა, ჟონეთი - ჯიშტერას წყაროს შემოღობვა, ოფშკვითი - გარე განათების ქსელის მოწყობა, ტყაჩირი - სოფლის ცენტრში ტრენაჟორის მოწყობა, ნოღა - გარე განათების ქსელის მოწყობა, საყულია - ამბულატორიის ეზოს შემოღობვა, ასევე ზედა უბნის სასაფლაოსთან მისასვლელი გზის გარე განათების

მოწყობა, ფარცხანაყანევი - კოპიტნარის დევნილთა დასახლებაში სკვერის მოწყობა, ქვიტირი - გარე განათების ქსელის მოწყობა, ზედა მესხეთი - მელაძეების უბანში ბავშვთა გასართობი სივრცის მოწყობა, სოფელი წყალტუბო - ფანჩატურის მოწყობა მეორე უბნის კლუბის შენობასთან, ასევე ფანჩატურის მოწყობა ადმინისტრაციულ შენობასთან, ჩუნეში - ფანჩატურის მოწყობა და არსებული წყაროს რეაბილიტაცია.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი - მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე კმაყოფილი მოსახლეობა 90%.

დაგეგმილი მაჩვენებელი - საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება.

მიღწეული მაჩვენებელი - საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება.

თ) **საპროექტო - სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შემენა (პროგრამული კოდი 02 08) 2024 წლის გეგმა** 139,6 ათასი ლარი, დაფინანსდა - 38,6 ათასი ლარით, რაც გეგმის 27,7 %-ია. გამოყოფილი თანხის ათვისება ვერ მოხდა სრულად, ვინაიდან შესყიდვის სავარაუდო ღირებულების განსაზღვრის შემდეგ, ელექტრონული ტენდერისთვის (აუქციონის გარეშე), „წინადადებების მიღება დასრულებულია“ და „შერჩევა-შეფასება“ მინიჭების შემდეგ, პრეტენდენტების მიერ დაფიქსირებული ყველაზე დაბალი წინადადების ფასი შეადგენდა ბევრად ნაკლებს, შესაბამისად დარჩა ეკონომიები.

პროგრამის განმახორციელებელი: წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია (ინფრასტრუქტურის, კეთილმოწყობისა და შესყიდვების სამსახური)

დაგეგმილი შუალედური შედეგი: სრულყოფილი საპროექტო დოკუმენტაცია.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: პროგრამის ფარგლებში საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვა.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი - 2023 წელს შექმნილი საპროექტო დოკუმენტაციის რაოდენობა 100.

დაგეგმილი მაჩვენებელი - საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება.

მიღწეული მაჩვენებელი - საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება.

ი) **სამშენებლო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობა და ექსპერტიზა (პროგრამული კოდი 02 09) 2024 წლის გეგმა** განისაზღვრა 200,0 ათასი ლარით. დაფინანსდა 153,2 ათასი ლარი, რაც გეგმის 76,6%-ია.

პროგრამის განმახორციელებელი: წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია
(ინფრასტრუქტურის, კეთილმოწყობისა და შესყიდვების სამსახური)

დაგეგმილი შუალედური შედეგი: შედგენილია ხარისხიანი საპროექტო და სამშენებლო სამუშაოები.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: პროგრამის ფარგლებში ფინანსდება სამშენებლო სამუშაოების ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე ორგანიზაციისა და სპეციალისტების მომსახურების შეძენა, კერძოდ 50,0 ათ. ლარზე მეტი თანხის ინფრასტრუქტურული პროექტების ტექნიკური ზედამხედველობის (საექსპერტო მომსახურების) სამუშაოების შესყიდვა.

3. დასუფთავება და გარემოს დაცვა (პროგრამული კოდი 03 00)

დასუფთავება და გარემოს დაცვის პრიორიტეტი საანგარიშო პერიოდში სულ დაფინანსდა 2966,6 ათასი ლარით, რაც გეგმის (3467,4 ათასი ლარი) 85,6 პროცენტია. თანხები გადანაწილდა შემდეგი მიმართულებით:

ათასი ლარი

პროგრამული კოდი	წყალტუბოს მუნიციპალიტეტი	2024 წლის ბიუჯეტის გეგმა			2024 წლის ბიუჯეტის ფაქტი			%
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები	
03 00	დასუფთავება და გარემოს დაცვა	3,467.4	0.0	3,467.4	2,966.6	0.0	2,966.6	85.6
03 01	სმარტი და ინოვაციური გადაწყვეტილებები შავი ზღვის ქვეყნებში მწვანე და სუფთა სასოფლო თემებისათვის	319.1	0.0	319.1	89.100	0.0	89.1	27.9
03 02	უპატრონო ცხოველების ოპერირება	68.0	0.0	68.0	68.0	0.0	68.0	100.0
03 03	დასუფთავება, ნარჩენების გატანა და ცენტრალური პარკის ზედამხედველობა	299.5	0.0	299.5	299.5	0.0	299.5	100.0
03 05	ნაგავშემკრები კონტეინერი და ნაგავშიდი მანქანები	813.0	0.0	813.0	799.9	0.0	799.9	98.4
03 06	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის დასუფთავება	1,967.7	0.0	1,967.7	1,710.1	0.0	1,710.1	86.9

ა) სმარტი და ინოვაციური გადაწყვეტილებები შავი ზღვის ქვეყნებში მწვანე და სუფთა სასოფლო თემებისათვის (პროგრამული კოდი 03 01) 2024 წლის გეგმა 319.1 ათასი ლარი, დაფინანსდა - 89.1 ათასი ლარით, გეგმა შესრულდა 27.9%-ით. გამოყოფილი თანხის ათვისება ვერ მოხდა სრულად რადგან ადგილობრივი თანადაფინანსება მთლიანი პროექტის (2 წლის) გაიწერა თავიდანვე, რაც შესრულდება ეტაპობრივად.

პროგრამის განმახორციელებელი: წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია

დაგეგმილი შუალედური შედეგი: სუფთა გარემო.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში პროგრამის ფარგლებში დაფინანსდა პროექტის გახსნის ღონისძიება, სადაც მოწვეულ იქნა პარტნიორ ქვეყნის ჯგუფები რუმინეთი, თურქეთი, მოლდოვა. გაიწა დაქირავებულ თანამშრომელთა შრომის ანაზღაურების, წარმომადგენლობითი ხარჯის, პრომო მასალების შეძენის ხარჯის და სათარჯიმნო მომსახურების შესყიდვა.

ბ) უპატრონო ცხოველების ოპერირება (პროგრამული კოდი 03 02) 2024 წლის გეგმა 68.0 ათასი ლარი, დაფინანსდა - 68.0 ათასი ლარით, გეგმა შესრულდა 100%-ით.

პროგრამის განმახორციელებელი: წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია (ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური)

დაგეგმილი შუალედური შედეგი: შემცირებულია ინფექციურ დაავადებათა გავრცელების რისკ-ფაქტორები და უზრუნველყოფილია ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემო, მოსახლეობის უსაფრთხო გადაადგილება.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში პროგრამის ფარგლებში განხორციელდა უმეტესადაც უპატრონო შინაური ბინადარი ცხოველების მოვლა-პატრონობა.

გ) დასუფთავება, ნარჩენების გატანა და ცენტრალური პარკის ზედამხედველობა (პროგრამული კოდი 03 03) 2024 წლის გეგმა 299,5 ათასი ლარი, დაფინანსდა - 299,5 ათასი ლარით, გეგმა შესრულდა 100 %-ით.

პროგრამის განმახორციელებელი: ა(ა)იპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და დასუფთავების გაერთიანება

დაგეგმილი შუალედური შედეგი: ქალაქში სანიტარული წესრიგის შენარჩუნებულია, გაუმჯობესებულია სანიტარული პირობები.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში შეუფერხებლად განხორციელდა

მუნიციპალიტეტის დასუფთავება და ქალაქიდან ნარჩენების გატანა ქალაქისა და მუნიციპალიტეტის განსაზღვრულ ტერიტორიებზე. აგრეთვე განსაზღვრულ ტერიტორიებზე ნაგვის ბუნკერების განთავსება. მუნიციპალიტეტის ტერიტორიიდან ყოველდღიურად გადის 25 მ. კუბი ნარჩენი. სამსახური ყოველდღიურ საქმიანობას ახორციელებს ხუთი საბუნკერე და ორი მცირე თვითმცლელი სპეცავტომანქანით. 2024 წლის 14 მარტს განხორციელდა ა(ა)იპ წყალტუბოს კეთილმოწყობისა და დასუფთავების გაერთიანების რეორგანიზაცია და შეიქმნა ა(ა)იპ წყალტუბოს დასუფთავების ცენტრი.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი - 2023 წელს გატანილი ნარჩენების რაოდენობა (ტონა) – 9000.

დაგეგმილი მაჩვენებელი - საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება.

მიღწეული მაჩვენებელი - საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება.

დ) ნაგავშემკრები კონტეინერები და ნაგავშიდი მანქანები (პროგრამული კოდი 03 05) 2024 წლის გეგმა 813,0 ათასი ლარი, დაფინანსდა 799,9 ათასი ლარით, რაც გეგმის 98,4%-ია.

პროგრამის განმახორციელებელი: წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია (ზედამხედველობის, სივრცითი მოწყობისა და არქიტექტურის სამსახური)

დაგეგმილი შუალედური შედეგი: მთელი წლის მანძილზე შეუფერხებლად განხორციელდება მუნიციპალიტეტის დასუფთავება და ქალაქიდან ნარჩენების გატანა.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში პროგრამის ფარგლებში დაფინანსდა 2023 წლის გარდამავალი ვალდებულების დაფინანსება, კერძოდ ნაგავშემკრები კონტეინერებისა და ნაგავშიდი მანქანების ეტაპობრივი შეძენა.

ე) წყალტუბოს მუნიციპალიტეტის დასუფთავება (პროგრამული კოდი 03 06) 2024 წლის 14 მარტს განხორციელდა ა(ა)იპ წყალტუბოს კეთილმოწყობისა და დასუფთავების გაერთიანების რეორგანიზაცია და შეიქმნა ა(ა)იპ წყალტუბოს დასუფთავების ცენტრი. საანგარიშო პერიოდის გეგმა განისაზღვრა 1967.7 ათასი ლარი, დაფინანსდა 1710.1 ათასი ლარი, რაც გეგმის 86.9%-ია.

პროგრამის განმახორციელებელი: ა(ა)იპ წყალტუბოს დასუფთავების ცენტრი

დაგეგმილი შუალედური შედეგი: ქალაქში სანიტარული წესრიგის შენარჩუნებულია, გაუმჯობესებულია სანიტარული პირობები.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში წყალტუბოს მუნიციპალიტეტის დასუფთავების ცენტრი ეწევა ქალაქისა და მუნიციპალიტეტის განსაზღვრული

ტერიტორიების (ქუჩები და მოედნები) დაგვადასუფთავებას, ანახვეტისა და საყოფაცხოვრებო ნარჩენების ქალაქგარეთ სპეციალურ ნაგავსაყრელზე გატანას, აგრეთვე განსაზღვრულ ტერიტორიებზე ნაგვის ბუნკერების განთავსებას. სამსახური ყოველდღიურ საქმიანობას ახორციელებს თხოვების ფორმით გადმოცემული შვისი საბუნკერე და ორი მცირე თვითმცლელი სპეცავტომანქანით, რომლებზეც თვეში საშუალოდ იხარჯება მინიმუმ 7500 და მაქსიმუმ 8500 ლიტრი დიზელის საწვავი. მეწიოვეების მიერ ყოველდღიურად, დილასადამოს, იგვება ქალაქის ქუჩები და მოედნები. სამსახურის სამოქმედო ტერიტორიაზე (ქვიტირი-ფარცხანაყანევის, კოპიტნარის, ბროწეულას, ვარციხჰესის, გუმბრინის, ბანოჯის, გეგუთის, პატრიკეთის, ტყაჩირის, ოფშკვითის, საყულის, ქვილიშორის, ჩუნემის, ხომულისა და გვიშტიბის) განთავსებული ნაგვისშემკრები კონტეინერებიდან და საერთო საცხოვრებლების ბუნკერებიდან ყოველდღიურად ხდება დაახლოებით 60-65 კბ-მდე ტონა საყოფაცხოვრებო და სამეურნეო ნარჩენების გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი გატანა. ყოველდღიურად იწმინდება გზების და გზატკეცილების მიმდებარე ტერიტორიები. კერძოდ, პრომეთეს მღვიმის მიმდებარე ტერიტორია, წყალტუბოქუთაისის გზატკეცილის მიმდებარე ტერიტორია სათაფლიის ნაკრძალის ჩათვლით, ქუთაისი-ხონი-მალლაკის მონაკვეთის ცენტრალური მაგისტრალის მიმდებარე ტერიტორია, მალლაკი-საღიის გზის მონაკვეთი, ქუთაისი-კოპიტნარის ცენტრალური მაგისტრალის მიმდებარე ტერიტორია აეროპორტის ჩათვლით, სოფელ გვიშტიბის, გეგუთის საყულის მონაკვეთი, წყალტუბოს სამაკაშვილის ქუჩის, ბარათაშვილისა და რუსთაველის გამზირის კერძოდ, ძველი რკინიგზისა და იუსტიციის სახლის ტერიტორია ტყის ჩათვლით, პარკის ტერიტორიის დამაკავშირებელი თეთრი ხიდისა და ევროპის ხიდის ჩავლით. პერიოდულად ხორციელდებოდა ქვიტირი-ფარცხანაყანევის, კოპიტნარის, ბროწეულას, ვარციხე, გეგუთის, პატრიკეთის, ტყაჩირის ოფშკვითის, საყულის, გუმბრინის, ბანოჯის, ხომულის, ქვილიშორის ჩუნემის და გვიშტიბის ტერიტორიაზე განთავსებული ნაგავშემკრები კონტეინერებიდან და საერთო საცხოვრებლების ბუნკერებიდან საყოფაცხოვრებო და სამეურნეო ნარჩენების გატანა, ასევე საჭიროებისამებრ იწმინდებოდა ხელოვნურად შექმნილი ნაგავსაყრელები და მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული გზებისა და გზატკეცილების, სასაფლაოების მიმდებარე ტერიტორიები.

4. განათლება (პროგრამული კოდი 04 00)

განათლების პრიორიტეტი საანგარიშო პერიოდში სულ დაფინანსდა 5496.0 ათასი ლარით, რაც გეგმის (5979.9 ათასი ლარი) 91.9 პროცენტია. თანხები გადანაწილდა შემდეგი მიმართულებით:

ათასი ლარი

პროგრამული კოდი	წყალტუბოს მუნიციპალიტეტი	2024 წლის ბიუჯეტის გეგმა			2024 წლის ბიუჯეტის ფაქტი			%
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები	
04 00	განათლება	5,979.9	488.4	5,491.6	5,496.0	435.5	5,060.5	91.9
04 01	საბავშვო ბაღების გაერთიანება	5,483.7	0.0	5,483.7	5,052.7	0.0	5,052.7	92.1
04 02	საჯარო სკოლების მოსწავლეთა ტრანსპორტირება და ინფრასტრუქტურის მოწყობა / რეაბილიტაცია	496.2	488.4	7.9	443.4	435.5	7.9	89.3

ა) საბავშვო ბაღების გაერთიანება (პროგრამული კოდი 04 01) 2024 წლის გეგმა 5483.7 ათასი ლარი, დაფინანსდა - 5052.7 ათასი ლარით, გეგმა შესრულდა 92.1 %-ით.

პროგრამის განმახორციელებელი: ა(ა)იპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანება.

დაგეგმილი შუალედური შედეგი: ხელმისაწვდომი სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებები და ბავშვების განვითარებაზე ორიენტირებული სააღმზრდელო და საგანმანათლებლო გარემო.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: სკოლამდელი ასაკი ბავშვის განვითარების უმნიშვნელოვანეს პერიოდს წარმოადგენს. ამ დროს ყალიბდება ყველა ის ძირითადი უნარები, რომელთაც შემდგომში ბავშვი გამოიყენებს როგორც სკოლაში, ასევე მთელი ცხოვრების განმავლობაში. 2007 წელს ფუნქციონირებდა 4 საბავშვო ბაღი, ამჟამად ფუნქციონირებს 24 საბავშვო ბაღი: ქალაქის NN1 , N 2 ,NN3 ,NN4 ,N 24 ,აგრეთვე სოფ გვიშტიბის, მაღლაკის, ფარცხანაყანევის, კოპიტნარის დასახლების, მესხეთის, მუხიანის, გეგუთის, პატრიკეთის, ტყაჩირის, ოფშკვითის, საყულიის, ახალი საყულიის, გუმბრის, ოფურჩხეთის, რიონის, ცხუნკურის, ქვიტირის, თერნალის საბავშვო ბაღები. საბავშვო ბაღებისა და ბაგა-ბაღების, აღზრდა და უნარჩვევების ჩამოყალიბება ხდება 63 სასწავლო-სააღმზრდელო ჯგუფში. საბავშვო ბაღები გათვლილია 1500 აღსაზრდელზე. ამჟამად

ჩარიცხულია 1479 ბავშვი აქედან 749 გოგოა 730 ბიჭი. ერთ ბავშვზე კვების თანხა განისაზღვრებოდა თვეში 95 ლარით, ხოლო ერთ დღეზე სამუშაო დღეების შესაბამისად საშუალოდ 4,52 ლარი. მენიუ დღის განმავლობაში შედგენილია შემდეგი სახით: საუზმე, წახემსება, სადილი, სამხარი. II კვარტალში კვებისთვის გახარჯულია 351 731 ლარი, აქედან ანაზღაურებული (ჩარიცხულია 278 690 ლარი, ხოლო ჩასარიცხია 73 041 ლარი. კანონის შესაბამისად ხდება სკოლამდელ აღზრდისა და განათლების პრინციპების დაცვა: ბავშვთა უფასო აღზრდა, განათლება და კვება. სკოლამდელი აღზრდა და განათლება ნებაყოფლობითია და ხელმისაწვდომია შესაბამისი ასაკის ყველა ბავშვისთვის. დაინერგა სასკოლო მზაობის პროგრამა. ეტაპობრივად ხდება სკოლამდელი აღზრდის სისტემასთან დაკავშირებული გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი დამტკიცებული ეროვნული სტანდარტების აღსრულება, როგორცაა სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტი, ინფრასტრუქტურის სტანდარტი, კვების სტანდარტი, წყლის, სანიტარიისა და ჰიგიენის სტანდარტი, აღზრდელ-პედაგოგის პროფესიული სტანდარტი. ბავშვთა უსაფრთხოების მიზნით ზედმიწევნით დაცულია ყველა შესაბამისი წესი: სახანძრო უსაფრთხოების, კვების, წყლის, სანიტარიის, ჰიგიენის და ინფრასტრუქტურის კუთხით. გაერთიანებაში შემავალ საბავშვო ბაღებსა და ბაგა - ბაღებში სასწავლოს აღზრდელ პროცესი განახლდა 2024 წლის 1 თებერვლიდან. პროცესის დაწყებამდე ყველა საბავშვო ბაღში ჩატარდა სადღეინფექციო-სადერატიზაციო და სადღეინსექციო. ლოჯისტიკის სამსახურის მიერ მოხდა საბავშვო ბაღებში დაზიანებული სანტექნიკის და ელექტრო გაყვანილობების შეცვლა სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ მითითებული რეკომენდაციების შესაბამისად.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი - 2023 წელს აღსაზრდელთა რაოდენობა 1500.

დაგეგმილი მაჩვენებელი - აღსაზრდელთა რაოდენობა 1500.

მიღწეული მაჩვენებელი - აღსაზრდელთა რაოდენობა 1461.

ბ) საჯარო სკოლების მოსწავლეთა ტრანსპორტირება და ინფრასტრუქტურის მოწყობა / რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 04 02) 2024 წლის გეგმა 496.2 ათასი ლარი, დაფინანსდა - 443.4 ათასი ლარით, გეგმა შესრულდა 89.3 %-ით.

პროგრამის განმახორციელებელი: წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია (ინფრასტრუქტურის, კეთილმოწყობისა და შესყიდვების სამსახური)

დაგეგმილი შუალედური შედეგი: შესაბამისი ინფრასტრუქტურა და განათლებაზე ორიენტირებული გარემო.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში პროგრამის ფარგლებში დაფინანსდა საჯარო სკოლების მოსწავლეთა ტრანსპორტით უზრუნველყოფის ხარჯები.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი - 2023 წელს ტრანსპორტით მოსარგებლე მოსწავლეთა რაოდენობა - 702.

დაგეგმილი მაჩვენებელი - საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება.

მიღწეული მაჩვენებელი - საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება.

5. კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობა და სპორტი (პროგრამული კოდი 05 00)

კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობა და სპორტის პრიორიტეტი საანგარიშო პერიოდში სულ დაფინანსდა 5459.4 ათასი ლარით, რაც გეგმის (6503.4 ათასი ლარი) 83.9 პროცენტია. თანხები გადანაწილდა შემდეგი მიმართულებით:

ათასი ლარი

პროგრამული კოდი	წყალტუბოს მუნიციპალიტეტი	2024 წლის ბიუჯეტის გეგმა			2024 წლის ბიუჯეტის ფაქტი			%
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები	
05 00	კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობა და სპორტი	6,503.4	141.3	6,362.1	5,459.4	132.2	5,327.2	83.9
05 01	სპორტის განვითარების ხელშეწყობა	3,405.0	141.3	3,263.7	2,672.2	132.2	2,540.0	78.5
05 01 01	სპორტული ღონისძიებები	325.3	0.0	325.3	262.8	0.0	262.8	80.8
05 01 02	სპორტული დაწესებულებების ხელშეწყობა	3,079.7	141.3	2,938.4	2,409.5	132.2	2,277.3	78.2
05 02 01	წყალტუბო არენა	731.6	0.0	731.6	556.4	0.0	556.4	76.1
05 01 02 02	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სპორტული კლუბების გაერთიანება	1,553.3	0.0	1,553.3	1,466.8	0.0	1,466.8	94.4
05 01 02 04	სპორტული ობიექტების აღჭურვა, რეაბილიტაცია, მშენებლობა	794.8	141.3	653.5	386.3	132.2	254.1	48.6
05 02	კულტურის სფეროს განვითარება	3,063.4	0.0	3,063.4	2,780.6	0.0	2,780.6	90.8

05 02 01	კულტურის სფეროს დაწესებულებების ხელშეწყობა	2,447.5	0.0	2,447.5	2,329.3	0.0	2,329.3	95.2
05 02 01 01	წყალტუბოს ბავშვთა და ახალგაზრდობის ცენტრი	850.4	0.0	850.4	769.7	0.0	769.7	90.5
05 02 01 02	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრი	1,393.1	0.0	1,393.1	1,366.9	0.0	1,366.9	98.1
05 02 01 03	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტურიზმის განვითარების საკოორდინაციო ცენტრი	204.0	0.0	204.0	192.7	0.0	192.7	94.5
05 02 02	კულტურული ღონისძიებები	515.9	0.0	515.9	351.4	0.0	351.4	68.1
05 02 03	რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა	100.0	0.0	100.0	99.9	0.0	99.9	99.9
05 03	ახალგაზრდობის მხარდაჭერა	35.0	0.0	35.0	6.6	0.0	6.6	18.9

ა) სპორტის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 01) 2024 წლის გეგმა 3405.0 ათასი ლარი, დაფინანსდა - 2672.2 ათასი ლარით, გეგმა შესრულდა 78.5 %-ით.

ა.ა) სპორტული ღონისძიებები (პროგრამული კოდი 05 01 01)

პროგრამის განმახორციელებელი: წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია (კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახური) 2024 წლის გეგმა 325.3 ათასი ლარი, დაფინანსდა - 262.8 ათასი ლარით, რაც გეგმის 80.8 %-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგი: გატარებულია ღონისძიებები მასობრივი სპორტის განვითარების ხელშეწყობის მიზნით.

- საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილი ღონისძიებებიდან განხორციელდა 27 მარტს სასკოლო სპორტული ოლიმპიადის რეგიონალური ტურნირი ხელბურთში, სადაც იმერეთის ხუთი მუნიციპალიტეტის: წყალტუბოს, ქუთაისის, ტყიბულის, ზესტაფონის და სამტრედიის გოგონათა და ვაჟთა გუნდები მონაწილეობდნენ. 1 ივნისს წყალტუბოს მუნიციპალიტეტში ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღე საზეიმოდ აღინიშნა. სპორტის სასახლეში ჩატარდა სპორტული ღონისძიება "მხიარული სტარტები", რომელშიც ქალაქის ოთხმა საბავშვო ბაგა-ბაღმა მიიღო მონაწილეობა. 14 ივნისს დასრულდა საფეხბურთო კლუბ სამგურალის წარმატებული ყოფილი მეკარის, მწვრთნელის - ნოდარ კობრეიძისა და სპორტის სფეროში წარმატებული მოღვაწე - სულიკო ნიქაბაძის სახელობის მინი ფეხბურთის სამოყვარულო ტურნირი. ტურნიურში მონაწილეობდა მუნიციპალიტეტის თვრამეტი ფეხბურთის მოყვარული გუნდი. ასევე

განხორციელდა სტრანსპორტო საშუალების ავტობუსის შეძენა. 16-17-18 ოქტომბერს ქ. წყალტუბოს სპორტის სასახლეში ჩატარდა წარმატებული სპორტსმენისა და დამსახურებული მწვრთნელის - როინ მეტრეველის სახელობის ხელბურთის საერთაშორისო ტურნირი (2009-2010-2011 წ.წ დაბადებულ ვაჟებს/გოგონებს შორის), სადაც მონაწილეობდა შვიდი მუნიციპალიტეტისა (წყალტუბო, სამტრედია, ქუთაისი, ზესტაფონი, გორი, ხელვაჩაური, ბათუმი) და ერევანის (სომხეთი) ვაჟთა და გოგონათა გუნდები. 7 ნოემბერს ჩატარდა წარმატებული მწვრთნელის - ზურაბ ბადირეიშვილის სახელობის კალათბურთის ტურნირი (2008-2009-2010 წ.წ დაბადებულ ვაჟებს შორის), სადაც მონაწილეობდა წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საჯარო და კერძო სკოლების გუნდები. 12 ნოემბერს სასკოლო სპორტული ოლიმპიადის ფარგლებში ჩატარდა კალათბურთის 3X3, მძლეოსნობის, ფრენბურთის, მაგიდის ჩოგბურთის, მინი ფეხბურთის, ხელბურთის ტურნირები, სადაც მონაწილეობა მიიღო წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საჯარო და კერძო სკოლების მოსწავლეებმა (ვაჟები და გოგონები). 13 დეკემბერს ჩატარდა ზაურ ტეხოვის სახელობის მინი ფეხბურთის ტურნირი საჯარო და კერძო სკოლებს შორის (2008-2009-2010 წ.წ. დაბადებული ვაჟები), ტურნირში მონაწილეობა მიიღო წყალტუბოს მუნიციპალიტეტის თერთმეტმა საჯარო სკოლამ. 25 დეკემბერს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერმა 2024 წლის საუკეთესო სპორტსმენები და მწვრთნელები დააჯილდოვა. საპრიზო ადგილზე გასულ სპორტსმენებს გადაეცათ სიმბოლური საჩუქრები.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი - 2023 წელს ჩატარებული სპორტული ღონისძიებების რაოდენობა - 22.

დაგეგმილი მაჩვენებელი - დაგეგმილი ღონისძიებების რაოდენობა - 7.

მიღწეული მაჩვენებელი - ჩატარებული ღონისძიებების რაოდენობა - 10.

ა.ბ) სპორტული დაწესებულებების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 01 02) ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება სპორტული დაწესებულებების დაფინანსება სპორტის საყოველთაობისა და ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად; სპორტული ტრადიციების დაცვის, გაღმავების, თაობათა შორის მემკვიდრეობითობის უწყვეტობის; სპორტის განვითარების; სპორტისა და ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციისათვის. ამ მიზნით ქვეპროგრამა დაფინანსდა - 2409.5ათასი ლარით (გეგმა 3079.7 ათასი ლარი), რაც გეგმის 78.2 %-ია. მათ შორის:

ა.ბ.ა) ა(ა)იპ წყალტუბო არენა (პროგრამული კოდი 05 01 02 01)

პროგრამის განმახორციელებელი: ა(ა)იპ წყალტუბო არენა

2024 წლის გეგმა 731.6 ათასი ლარი, დაფინანსდა - 556.4 ათასი ლარით, რაც გეგმის 76.1 %-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგი: მუნიციპალური საფეხბურთო სტადიონი შეუფერხებლად მასპინძლობს წლის განმავლობაში გამართულ ყველა სპორტულ ღონისძიებას.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება წყალტუბოს საფეხბურთო სტადიონის ფუნქციონირების ხარჯების დაფინანსება. ქვეპროგრამის მიზანია წლის ნებისმიერ პერიოდში წყალტუბოს საფეხბურთო სტადიონის მზადყოფნა დაგეგმილი მატჩებისათვის. სისტემატურად მიმდინარეობს სტადიონების მიმდებარე გარე პერიმეტრის მოწყობა-გაწმენდა ცელით და სხვა ტექნიკით, მოსუფთავება და თამაშებისთვის მომზადება. სამტატო ნუსხით დამტკიცებულია 27 ერთეული, ორ შტატზე დასაქმებულია ერთი ერთეული. სულ დასაქმებულია 21 კაცი და 5 ქალი.

საანგარიშო პერიოდში ვარჯიშები ტარდებოდა ახალ საფეხბურთო ცენტრში. ეროვნული ჩემპიონატზე სამგურალის გუნდს ჩატარებული აქვს 14 საშინაო თამაში. აქედან 9 თამაში ჩაატარა ცენტრალურ სტადიონზე და 5 თამაში ჩაატარა საფეხბურთო ცენტრში. ასევე საფეხბურთო ცენტრში მიმდინარეობდა ევროპის 17 წლამდელთა ასაკობრივი ჩემპიონატის შესარჩევი ტური, სადაც ჩატარდა 4 ვარჯიში და 3 ოფიციალური თამაში დანიის, სერბეთისა და თურქეთის გუნდების. ჩემპიონატისათვის მაღალორგანიზებულად ჩასატარებლად განხორციელდა სათანადო სამუშაოები. კერძოდ, აშენდა 2 ვიდეოაპარატურის პლატფორმა და ერთ არსებულს დაემატა ერთი სართული. ყოველდღიურად თამაშისთვის მზადდებოდა მინდორი და გასახდელები. რის შესაბამისადაც საფეხბურთო ცენტრმა ჩემპიონატის მომზადებისა და ჩატარების მხრივ მაღალი შეფასება და სიტყვიერი მადლობა მიიღო უეფასა და სფფ-დან.

ამავე პერიოდში განაახლა ვარჯიშები სათადარიგო სამგურალი 2-ის გუნდმა და ასაკობრივი ლიგის გუნდებმა. სამგურალი 2 და 19, 17 წლამდელთა ორი გუნდი, 15, 14, 13, 12, 11, 10 და 9 წლამდელთა ასაკობრივი გუნდები ვარჯიშებობენ ხელოვნურსაფარიან სათადარიგო სტადიონზე. ამავე მოედანზე ჩაატარებენ გუნდები ლიგა 4-ისა და ასაკობრივი ლიგის ჩემპიონატის საშინაო მატჩებს. ჩემპიონატი დაიწყო აპრილის თვეში და სამგურალი 2-მა ჩაატარა 9 საშინაო მატჩი, 19 წლამდელთა გუნდმა ჩაატარა 9 საშინაო მატჩი, 17 წლამდელთა ორივე გუნდმა ჩაატარა 13 საშინაო მატჩი, 15 წლამდელთა გუნდმა ჩაატარა 8 საშინაო მატჩი, 14 წლამდელთა გუნდმა ჩაატარა 8 საშინაო მატჩი, 13 წლამდელთა გუნდმა ჩაატარა 7 საშინაო მატჩი, 12 წლამდელთა გუნდმა ჩაატარა 7 საშინაო მატჩი, 11 წლამდელთა გუნდმა ჩაატარა 6 საშინაო მატჩი, 10 წლამდელთა გუნდმა ჩაატარა 6 საშინაო მატჩი.

პარალელურად ხელოვნურსაფარიან სათადარიგო სტადიონზე ვარჯიშებს ატარებს სამოყვარულო გუნდი. ასევე პერიოდულად სათადარიგო სტადიონზე ვარჯიშობს რაგბის გუნდი.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი - 2023 წელს ჩატარებული საფეხბურთო მატჩების რაოდენობა - 99.

დაგეგმილი მაჩვენებელი - საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება.

მიღწეული მაჩვენებელი - საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება.

ა.ბ.ბ) ა(ა)იპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სპორტული კლუბების გაერთიანება (პროგრამული კოდი 05 01 02 02)

პროგრამის განმახორციელებელი: ა(ა)იპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სპორტული კლუბების გაერთიანება

2024 წლის გეგმა 1553.3 ათასი ლარი, დაფინანსდა - 1466.8 ათასი ლარით, რაც გეგმის 94.4 %-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგი: სპორტის საყოველთაობის, ხელშეწყობისა და პოპულარიზაციის უზრუნველყოფა.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: ქვეპროგრამის მიზანია ხელი შეუწყოს მოზარდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას; მეტი მოზარდი ჩართოს სპორტში, რათა სპორტმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანოს ჯანმრთელი თაობის ჩამოყალიბებაში. გაერთიანებაში ირიცხება 60 სამტატო ერთეული; აქედან ადმინისტრაციული აპარატის 24 სამტატო ერთეული, მთავარი მწვრთნელი -1; უფროსი მწვრთნელი-7; წამყვანი მწვრთნელ-კოორდინატორი - 1; უფროსი მწვრთნელ-კოორდინატორი -2 ; მწვრთნელი - 24; ფიზ-მომზადების მწვრთნელი -1. ორგანიზაციაში მოწვეულია ხელშეკრულებით 30 მოთამაშე მორაგბე სპორტსმენი და 10 ხელბურთელი სპორტსმენი და 3 შტატგარეშე მწვრთნელი. სპორტული კლუბების გაერთიანებაში ფუნქციონირებს 4 კლუბი: ხელბურთის, ფრენბურთის, სარაგბო და ფალავანთა კლუბი; ასევე ფუნქციონირებს კალათბურთის, მძლეოსნობის, მკლავჭიდის, კრივის, ქართული ჭიდაობის, ძალოსნობის, ფარიკაობის, მაგიდის ჩოგბურთის, ტანვარჯიშის, ჭადრაკის და ნიჩბოსნობის სექციები. სპორტულ კლუბებში და სექციებში მომეცადინე სპორტსმენთა რაოდენობა ითვლის 616 სპორტსმენს.

საანგარიშო პერიოდში მონაწილეობა მიიღეს სხვადასხვა ტურნირებსა და საქართველოს ჩემპიონატებში. შედეგების მიხედვით ჩვენმა სპორტსმენებმა მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწიეს სპორტის სხვადასხვა სახეობაში. „სარაგბო კლუბი დინოზავრი“-მა მოიპოვა პირველ ლიგაში 4 გამარჯვება თებერვალი - მარტის თვეში, ხელბურთის ეროვნულ ჩემპიონატზე მოიპოვეს 3 გამარჯვება, გოგონათა ახალგაზრდულ ჩემპიონატში მოიპოვეს 2 გამარჯვება, ხოლო ვაჟთა ახალგაზრდულ ჩემპიონატში 5 გამარჯვება და გახდნენ საქართველოს ჩემპიონები. ძალოსნობაში ქალაქების ღია პირველობაში მოიპოვეს ხუთი - I ადგილი; ორი - II ადგილი და ერთი - III ადგილი, მსოფლიოს ჩემპიონატზე მოიპოვეს ერთი - II ადგილი. ევროპის ჩემპიონატზე ერთი - I ადგილი. კრივში სხვადასხვა წონით კატეგორიაში აჭარის ღია პირველობა ორი - I ადგილი, საქართველოს ჩემპიონატზე - ერთი I ადგილი, ზურაბ სარსანიას სახელობის საერთაშორისო ტურნირში ერთი - III ადგილი და ირაკლი აბაშიძის ხსოვნის საერთაშორისო ტურნირში ერთი - III ადგილი. ჭადრაკი იმერეთის ღია პირველობა ერთი - I ადგილი, ერთი - II ადგილი, ერთი - III ადგილი. ძიუდოში საქართველოს ჩემპიონატში ერთი - III ადგილი. საქართველოს ჩემპიონატი სამბოში სხვადასხვა წონით კატეგორიაში ორი - I ადგილი. ევროპის ჩემპიონატი ერთი - III ადგილი, ვეტერანთა ევროპის ჩემპიონატი ერთი - III ადგილი. მკლავჭიდში თბილისის ღია პირველობაზე ორი - I ადგილი, ორი - II ადგილი, ევროპის ჩემპიონატის შეხვედრები ერთი - III ადგილი, ევროპის ჩემპიონატი ერთი - I ადგილი, რეგიონალური ტურნირი სამი - I ადგილი. ქართულ ჭიდაობაში საქართველოს ჩემპიონატი ერთი - I ადგილი, ერთი - II ადგილი. საქართველოს

პირველობა ერთი - II ადგილი, ერთი - III ადგილი. კალათბურთში ჯუნიორ საქართველოზე მოიპოვეს სამი გამარჯვება. ხოლო მძლეოსნობაში გივი თალაკვაძის ხსოვნისადმი მიძღვნილი ტურნირში სხვადასხვა წონით კატეგორიაში ოთხი - I ადგილი და ორი - II ადგილი.

მიღწეული შულეღური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი - 2023 წელს ჩატარებული სპორტულ ღონისძიებათა რაოდენობა - 70.

დაგეგმილი მაჩვენებელი - საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება.

მიღწეული მაჩვენებელი - მოპოვებული საპრიზო ადგილი - 57.

ა.ბ.გ) სპორტული ობიექტების აღჭურვა, რეაბილიტაცია, მშენებლობა (პროგრამული კოდი 05 01 02 04)

პროგრამის განმახორციელებელი: წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია (ინფრასტრუქტურის, კეთილმოწყობისა და შესყიდვების სამსახური)

2024 წლის გეგმა 794.8 ათასი ლარი, დაფინანსდა - 386.3 ათასი ლარით, რაც გეგმის 48.6%-ია. გეგმის შეუსრულებლობა გამოწვეულ იქნა იმით, რომ პროექტები იყო გარდამავალი.

დაგეგმილი შულეღური შედეგი: განახლებულია ქალაქის სპორტული ინფრასტრუქტურა, რომელიც ადაპტირებულია როგორც ქალთა ასევე მამაკაცთა საჭიროებებზე.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შულეღური შედეგები: საანგარიშო პერიოდში ღონისძიების ფარგლებში დაფინანსდა ქალაქ წყალტუბოში დედა-ენის ქუჩაზე და ქალაქ წყალტუბოში 9 აპრილის ქუჩაზე მინი სპორტული მოედნის მოწყობა.

„მოქალაქეთა ჩართულობის განვითარების ხელშეწყობის“ ინიციატივის სოფელ მაღლაკში და სოფელ ზედა მესხეთში სპორტული მოედნების მოწყობა. სოფელ ბანოჯაში, ფარცხანაყანევში, ცხუნკურში და მაღლაკში (იმერეთის საყრდენი პუნქტი) ახალი სპორტული მოედნების მოწყობის, ასევე ქალაქ წყალტუბოში რუსთაველის ქუჩის 1-ელ ჩიხში, შანიძის ქუჩაზე და დედა-ენის ქუჩაზე მე-2 ჩიხში არსებული სპორტული მოედნების რეაბილიტაციის სამუშაოები.

მიღწეული შულეღური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი - 2023 წელს რეაბიტირებული სპორტული მოედნების რაოდენობა - 2.

დაგეგმილი მაჩვენებელი - მოეწყობა 5 სპორტული მოედანი.

მიღწეული მაჩვენებელი - მოეწყო 9 სპორტული მოედანი.

ბ) კულტურის სფეროს განვითარება(პროგრამული კოდი 05 02) პროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტში კულტურული ტრადიციების მხარდაჭერა, განვითარება და მოსახლეობის კულტურული დონის ამაღლება. კულტურული თვითმყოფადობის გაცნობიერებისა და გაღმავების ხელშეწყობა. კულტურის სფეროს დარგების განვითარება და მათი პოპულარიზაცია. ამ მხრივ პროგრამის ფარგლებში ხორციელდება კულტურული ობიექტების დაფინანსება, როგორცაა ა(ა)იპ წყალტუბოს ბავშვთა და ახალგაზრდობის ცენტრი, ა(ა)იპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრი და ა(ა)იპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტურიზმის განვითარების საკოორდინაციო ცენტრი. ამ მიზნით ქვეპროგრამა დაფინანსდა - 2780.6 ათასი ლარით (გეგმა 3063.4 ათასი ლარი), რაც გეგმის 90.8 %-ია. მათ შორის:

ბ.ა) წყალტუბოს ბავშვთა და ახალგაზრდობის ცენტრი (პროგრამული კოდი 05 02 01 01)

პროგრამის განმახორციელებელი: ა(ა)იპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ბავშვთა და ახალგაზრდობის ცენტრი

2024 წლის გეგმა 850.4 ათასი ლარი, დაფინანსდა - 769.7 ათასი ლარით, რაც გეგმის 90.5 %-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგი: უზრუნველყოფილია ახალგაზრდების ჩართულობა შემოქმედებით საქმიანობაში

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: ქვეპროგრამის მიზანია ახალგაზრდების ინტელექტუალური, შემოქმედებითი, სულიერი, პიროვნული, პროფესიული და ფიზიკური პოტენციალის გამოვლენის, ფორმირებისა და განვითარებისათვის შესაბამისი პირობების შექმნა. ხელოვნებასთან ზიარებით პიროვნების ინდივიდუალური შემოქმედებითი მიდრეკილებების განვითარების ხელშეწყობა. კულტურული განვითარება. დაწყებითი სამუსიკო, სამხატვრო და არაფორმარული განათლების მიღება. ახალგაზრდობისთვის შემეცნებითი, შემოქმედებითი ღონისძიებების განხორციელება. მოსწავლეებისთვის ეროვნული და კულტურული მემკვიდრეობის ქართული და მსოფლიო ნიმუშების გაცნობა. მოზარდთა ინტერესების შესაბამისად პროფილური წრეების, ცენტრების, მოსწავლე-ახალგაზრდობის შემეცნებით-შემოქმედებითი პროგრამების განხორციელება, სადაც ირიცხება 617 მოსწავლე. **მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის** მოსწავლეებმა მონაწილეობა მიიღეს სხვადასხვა ღონისძიებაში, კერძოდ საახალწლო მიუზიკლი „ბურატინოს თავგადასავალი“, „ახალი წლის დღეები 2024“, ბორჯომ-ბაკურიანის ფესტივალი „ფანტაზია 2024“, წიგნის საჯარო კითხვის საერთაშორისო დღე, დედის დღისადმი მიძღვნილი აქტივობა, სამეგრელოს ღია ჩემპიონატი ტაეკვანდოში, წყლის რესურსების დაცვის საერთაშორისო დღე, საგაზაფხულო ღონისძიება „გაზაფხული, დედა და სიყვარული“, აუტიზმის შესახებ ცნობადობის ამაღლება, მონაწილეობა მიიღეს ტაეკვანდოს სხვადასხვა

ტურნირებში, დედამიწის საერთაშორისო დღე, მონაწილეობა მიიღეს გაეროს გარემოსდაცვით პროგრამით გამართულ სემინარში, მოეწყო ხელნაკეთი ნივთების გამოფენა, ასევე ღია შემაჯამებელი მეცადინეობა ჩატარდა სხვადასხვა წრეში. აღნიშნულ ღონისძიებებში სულ მონაწილეობდა 660 გოგო და 318 ვაჟი. **სამუსიკო სკოლის** მოსწავლეებმა მონაწილეობა მიიღო სხვადასხვა ღონისძიებაში ბიჭუნების კონცერტი, ქალთა დღე, ბახის სახელობის მე-17 ეროვნული კონკურსი ვალერიან შიუკაშვილის ხელმძღვანელობით, მასტერკლასი „საუბრები იოჰან სებასტიან ბახზე“, „იპოვე შენი ვარსკვლავი“ სადაც გრანპრით დაჯილდოვდა ფოლკლორული ანსამბლი აისი, გაიმართა კონფერენცია „თაობათა ცვლა“, მონაწილეობ მიიღეს ასევე „სენაკის არტ-ფესტივალზე“, „ონდო - კლასიკა“, ასევე ცატარდა სკოლის აკადემიური კონცერტი, დახურული კონცერტი და ა.შ. ჩატარებულ ღონისძიებებში სულ მონაწილეობდა 202 გოგო და 192 ვაჟი. **სამხატვრო სკოლის** აღსაზრდელებმა მონაწილეობა მიიღეს სხვადასხვა გამოფენაში საშობაო თემატური გამოფენა, კონფერენცია „ირაკლი ოჩიაურის ცხოვრება და შემოქმედება“, კონფერენცია „ქართველი ქალი მხატვრები“, „ასფალტზე ცარციტ ხატვა“, „დედაენის დღე“, „დედამიწის დღე“, „უნგენი და დამეგობრებული ქალაქები“, საგამოფენო დარბაზში მოეწყო მოსწავლეთა შემაჯამებელი გამოფენა და ასევე სადიპლომო გამოფენა, სადაც მონაწილეობდა 298 გოგო და 66 ვაჟი.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი - 2023 წელს ახალგაზრდობის ჩართულობა შემოქმედებით საქმიანობაში- 455.

დაგეგმილი მაჩვენებელი - საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება.

მიღწეული მაჩვენებელი - შემოქმედებით საქმიანობაში ჩართულ ახალგაზრდათა რაოდენობა - 617.

ბ.ბ) წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრი (პროგრამული კოდი 05 02 01 02)

პროგრამის განმახორციელებელი: ა(ა)იპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრი

2024 წლის გეგმა 1393.1 ათასი ლარი, დაფინანსდა - 1366.9 ათასი ლარით, რაც გეგმის 98.1 %-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგი: მოსახლეობაში გაზრდილია ტრადიციული კულტურის პოპულარიზაცია; მუნიციპალიტეტის შემოქმედებით ცხოვრებაში ჩართულია ახალგაზრდები.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: ქვეპროგრამის მიზანია მოსახლეობაში ტრადიციული კულტურის პოპულარიზაცია; შემოქმედებითი უნარების განვითარება; თეატრალური სფეროსადმი, ბიბლიოთეკებისა და მუზეუმებისადმი მოსახლეობის დაინტერესების

ზრდა და ჩართულობის გაზრდა. რასაც ემსახურება ცენტრში შემავალი 3 მუზეუმი, 29 ბიბლიოთეკა, 2 კულტურის სახლი და 10 სასოფლო კლუბი. ფოლკლორული ანსამბლი „ნადური“, სახალხო თეატრი და ქორეოგრაფიული ანსამბლი. საანგარიშო პერიოდში ჩატარდა რიგი ღონისძიებები, კერძოდ სასოფლო კლუბებში საახალწლო ღონისძიება, თოჯინების თეატრმა მოიპოვა პრიზი „საუკეთესო სცენოგრაფია“ და „საუკეთესო ეპიზოდური როლი“, ბიბლიოთეკაში გაიმართა წიგნის საჯარო კითხვა, მხარეთმცოდნეობის მუზეუმში მოეწყო დავით აღმაშენებლის ხსენების დღისადმი მიძღვნილი გამოფენა, კულტურის ცენტრში და გეგუთის კულტურის სახლში გაიმართა დედის დღისადმი და 8 მარტისადმი მიძღვნილი ღონისძიებები, 8 აპრილს მხარეთმცოდნეობის მუზეუმში გაიმართა ციალა ღვინიანიძის წიგნების პრეზენტაცია, 9 აპრილის მემორიალთან აღინიშნა ტრაგედიიდან 35 წლისთავი "მადლობა თავისუფლებისთვის", 12 აპრილს მხარეთმცოდნეობის მუზეუმში ჩატარდა ჯორჯ ბალანჩინის დაბადებიდან 120-ე წლისთავისადმი მიძღვნილი ფოტოგამოფენა და სამეცნიერო კონფერენცია, 13 აპრილს ს/დ "ივერიაში" გაიმართა მხარეთმცოდნეობის მუზეუმის გასვლითი ეთნოგრაფიული ექსპონატების გამოფენა ევროპის გოგონათა მათემატიკის საერთაშორისო ოლიმპიადის გახსნასთან დაკავშირებით, 9 მაისს აღინიშნა ფაშიზმზე გამარჯვების 79-ე წლისთავი და ყვავილებით შევამკეთ გვიშტიბის ძმათა სასაფლაო, 17 მაისს ს/დ "ივერიაში" გაიმართა ქორეოგრაფიული ანსამბლისა და ფოლკლორული ანსამბლ "ნადურის" საანგარიშო კონცერტი, 14 მაისს გეგუთის ციხე-სიმაგრეზე ჩატარდა სახალხო დღესასწაული "თამარობა", 18 მაისს აღინიშნა მუზეუმების საერთაშორისო დღე, 26 მაისს ს/დ "ივერიაში" ჩატარდა დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი საზეიმო კონცერტი, 3-8 ივნისს მთავარ ბიბლიოთეკასა და სასოფლო ბიბლიოთეკებში მიმდინარეობდა საბიბლიოთეკო კვირეული, რომელიც დაიხურა პოეტ ავთანდილ ყურაშვილთან შეხვედრით, 14 ივნისს ს/დ "ივერიაში" სახალხო თეატრმა წარმოადგინა პრემიერა სპექტაკლისა დ.კლდიაშვილის "ბაკულას ღორები", რომელიც 16 ივნისს წარდგენილი იქნა ქ.ქუთაისში "იმერეთის თეატრალურ ფესტივალზე", 28 ივნისს კი დაჯილდოვდნენ ნომინაციაში "საუკეთესო ქორეოგრაფია" და "სპეციალური პრიზი".

მიღწეული შუღედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი - 2023 წელს ჩატარებულ კულტურულ ღონისძიებათა რაოდენობა - 19.

დაგეგმილი მაჩვენებელი - საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება.

მიღწეული მაჩვენებელი - ჩატარებული ღონისძიებები - 13.

ბ.გ) წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტურიზმის განვითარების საკოორდინაციო ცენტრი (პროგრამული კოდი 05 02 01 03)

პროგრამის განმახორციელებელი: ა(ა)იპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტურიზმის განვითარების საკოორდინაციო ცენტრი

2024 წლის გეგმა 204.0 ათასი ლარი, დაფინანსდა - 192.7 ათასი ლარით, რაც გეგმის 94.5 %-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგი: ადგილობრივი და საერთაშორისო ღონისძიებები დაორგანიზებულია და გაზრდილია ვიზიტორების რაოდენობა.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში ა(ა)იპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტურიზმის განვითარების საკოორდინაციო ცენტრის მიერ წყალტუბოს როგორც ტურისტული ქალაქის პოპულარიზაციის მხრივ მონაწილეობა მიიღო მესტიაში გემო - ფესტის გახსნაზე, სტამბოლის EMITT 2024 გამოფენაზე, ტურისტული პროდუქტები წარადგინა ქალაქ რიგაში საერთაშორისო ტურისტულ გამოფენაზე, მონაწილეობა მიიღო ქალაქ ბათუმში წიგნისა და განათლების მე-2 საერთაშორისო გამოფენაზე. მონაწილეობა იქნა მიღებული სვანეთის DMO-ს სახელიტ დამართულ „3“ ლიშობის საერო დღესასწაულზე. ცენტრის ხელშეწყობით გაიმართა ტრენინგი ქალაქ წყალტუბოში თემაზე „ინკლუზიური ტურები და მისაწვდომი სერვისებიშშმ პირთათვის“, სადაც მონაწილეობდა 2 მამაკაცი და 23 ქალბატონი. ასევე განხორციელდა ბარმენტა გადამზადება, რაც ყოველწლიურად წარმატებით ხორციელდება და შესაბამისად სასტუმრო პლაზაში ჩატარდა „IBA Bartending Course“-ის დასკვნითი ღონისძიება, სადაც სერთიფიკატები გადაეცათ კურსდამტავრებულებს 3 გოგოს და 3 ბიჭს.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი - 2023 წელს მოზიდულ ტურისტთა რაოდენობა - 25000.

დაგეგმილი მაჩვენებელი - საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება.

მიღწეული მაჩვენებელი - საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება.

ბ.დ) კულტურული ღონისძიებები (პროგრამული კოდი 05 02 02)

პროგრამის განმახორციელებელი: წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია (კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახური)

2024 წლის გეგმა 515.9 ათასი ლარი, დაფინანსდა - 351.4 ათასი ლარით, რაც გეგმის 68.1 %-ია. წლის განმავლობაში სხვადასხვა ღონისძიებაზე წარმოიშვა ეკონომია და არ ჩატარდა რიგი აქტივობები (ქართული სამოსის დღე, აგრო ფესტივალი, სასწავლო წლის დასრულება, ოტიაობა, ხელოვნების დღეები).

დაგეგმილი შუალედური შედეგი: ქალაქის გამრავალფეროვნებული კულტურული ცხოვრება.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდა სხვადასხვა ღონისძიებები, როგორცაა: საახალწლო კონცერტი „ოქროს გასაღები ანუ ბურატინოსა და მისი მეგობრების არაჩვეულებრივი თავგადასავალი“, საშობაო ბაზრობა, დავით აღმაშენებლის ხსენების

დღესთან დაკავშირებით პატივი მიაგეს გელათის მონასტერში მეფის სახელს, 8 მარტის ღონისძიება, წყლის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება, დაუნის სინდრომის საერთაშორისო დღე, ქორეოგრაფ ბესო შენგელიას ხსოვნის საღამო, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერმა და ადგილობრივი თვითმმართველობის სხვა წარმომადგენლებმა 1989 წლის 9 აპრილს დაღუპულთა მემორიალი ყვავილებით შეამკეს და მათ ხსოვნას პატივი მიაგეს. შესრულდა დაღუპულთა სულების მოსახსენებელი პანაშვიდი. ცენტრალურ პარკში ქართველი კომპოზიტორისა და საზოგადო მოღვაწის, ქართული საოპერო მუსიკის ფუძემდებლის მელიტონ ბალანჩივაძის ბიუსტი დაიდგა. ჩატარდა თემატური კონფერენცია - „ჩვენ ვსაუბრობთ ქართულად“, რომელიც - სახელმწიფო ენის დღეს მიეძღვნა. ცენტრალურ პარკში მოეწყო პოეზიის საღამო. ფაშიზმზე გამარჯვების 79-ე წლისთავთან დაკავშირებით, გვირგვინებით შეამკეს გმირთა მემორიალი და პატივი მიაგეს მეორე მსოფლიო ომში დაღუპულთა ხსოვნას. ქორეოგრაფიულმა ანსამბლმა "ივერიამ" სადებიუტო კონცერტი ფოლკლორულ ჯგუფ "ნადურთან"ერთად, გამართა და ფართო აუდიტორიას ქართული ტრადიციული ხელოვნების ნამდვილი ზეიმი მოუწყო. საქართველოს დამოუკიდებლობის დღე საზეიმო ღონისძიებებით აღინიშნება წყალტუბოში. ასევე აღინიშნა ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღე. წყალტუბოში საპატიო მოქალაქის, პედაგოგის, ჟურნალისტისა და ღირსების ორდენის კავალერის ოქროპირ სვანაძის საცხოვრებელ სახლზე მემორიალური დაფა გაიხსნა. წყალტუბომ ფოლკლორის IX საერთაშორისო ფესტივალს “ლეგენდების ქვეყანა“ უმასპინძლა, ღონისძიებაში ინდონეზიის, ლატვიის, თურქეთის, სომხეთის და ბელორუსიის სიმღერისა და ცეკვის ფოლკლორულმა ანსამბლებმა და ჯგუფებმა მიიღეს მონაწილეობა, რომლებსაც კონცერტის დაწყებამდე ქართული ცეკვის მასტერკლასები ჩაუტარეს. საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის მემორიალთან პატივი მიაგეს 2008 წლის აგვისტოს ომში დაღუპულთა ხსოვნას. ნიკო ლორთქიფანიძის სახლ-მუზეუმში წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერი გენადი ბალანჩივაძე პედაგოგებს შეხვდა, ახალი სასწავლო წლის დაწყება მიულოცა, შეხვედრის დასრულების შემდეგ კომპოზიტორ ზაზა კილასონიას კლასიკური მუსიკის კონცერტი გამართა. სოხუმის დაცემიდან 31 წელი გავიდა, საქართველოს უახლესი ისტორიის ამ ტრაგიკულ თარიღთან დაკავშირებით წყალტუბოში, დიდების მემორიალთან პატივი მიაგეს აფხაზეთის ომის გმირებს. წყალტუბომ საერთაშორისო ტურისტული ფილმების ფესტივალს უმასპინძლა. წყალტუბოში ტრადიციული სახალხო დღესასწაული „შემოდგომის წყალტუბო“ მრავალფეროვანი და მასშტაბური ღონისძიებებით აღინიშნა - სახალხო დღესასწაულის ფარგლებში წარმოდგენილი იყო: ფოლკლორული და თეატრალიზებული სანახაობები; საგამოფენო სივრცეები; ეთნოგრაფიული კუთხეები; დღის განმავლობაში გაიმართა სხვადასხვა შემეცნებითი; კულტურული და სპორტული ღონისძიებები; დაიწურა ყურძენი, იმერულ ფაცხებში კი სოფლის ნობათი და ტკბილეული იქნა წარმოდგენილი. გაიმართა ეროვნული ღონისძიება „მამული ენა, სარწმუნოება“. წყალტუბოში საზეიმოდ აინთო ქალაქის მთავარი ნამვის ხე. წყალტუბოს ცენტრალურ პარკში საქართველოს მთავრობის ინიციატივით სახალწლო

ღონისძიება გაიმართა. მთავარი საახალწლო ღონისძიება ადგილობრივი შემოქმედებითი ანსამბლების კონცერტით გაიხსნა. სადღესასწაულო განწყობა ზღაპრის გმირებმა და მოსიარულე ორკესტრის წარმომადგენლებმა შექმნეს. მოეწყო საშობაო ბაზრობა, პატარებს საბავშვო სივრცეებში უმასპინძლეს, თოვლის ბაბუამ ტრადიციულად საჩუქრები დაარიგა. დღის ბოლოს, გაიმართა გალა კონცერტი და დასრულდა ფეიერვერკით. წყალტუბოში საკონცერტო დარბაზ „ივერიის“ მიმდებარე ტერიტორიაზე „სახალწლო, ჯადოსნური ქალაქი“ გაიხსნა, სადაც გაიმართა სხვადასხვა გასართობი ღონისძიებები ბავშვებისათვის. სპეციალურად შექმნილ სახლებში მოეწყო ადგილობრივი მეწარმეების მიერ შესრულებული ნამუშევრების გამოფენა-გაყიდვა. ჩატარდა ცეცხლოანი შოუ, ღონისძიება გაგრძელდა შოუ პროგრამით. კონცერტი გვიან ღამემდე გაგრძელდა და ფეიერვერკით დასრულდა. საახალწლო ჯადოსნურ ქალაქში ღონისძიებები გაგრძელდა **28 დეკემბრის** ჩათვლით. სადაც საღამოს 18:00 საათიდან ადგილობრივი შემსრულებლების მონაწილეობით ეწყობოდა კონცერტები, გამოფენები და საახალწლო ფილმის ჩვენებები.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი - 2023 წელს ჩატარებულ კულტურულ ღონისძიებათა რაოდენობა - 22.

დაგეგმილი მაჩვენებელი - საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება.

მიღწეული მაჩვენებელი - ჩატარებული ღონისძიებების რაოდენობა - 35.

ბ.ე) რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 02 03)

პროგრამის განმახორციელებელი: წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია (კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახური)

2024 წლის გეგმა 100,0 ათასი ლარი, დაფინანსდა - 99,9 ათასი ლარით, რაც გეგმის 99,9 %-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგი: რელიგიური შემწყნარებლობის პროპაგანდა და მოსახლეობის სულიერების ამაღლება

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდა სოფელ თერნალის ღვთისმშობლის შობის, გამსახურდიას ქუჩაზე წმინდა იოანე ღვთისმეტყველის ტაძრის, სოფელ წყალტუბოში ანთიმოზ ივერიელის ტაძრის, თამარ მეფის ქუჩა ანჩისხატის სახელობის ტაძრის, 9 აპრილის ქუჩაზე მდებარე წმინდა გაბრიელ ეპისკოპოსის სახელობის სასულიერო გიმნაზიის, მაღლაკის ფერიცვალების სახელობის ეკლესიის, სოფ. ფარცხანაყანებში მაცხოვრის ზეცად ამაღლების სახელობის, სოფ. ჩუნეში წმ. გიორგის სახელობის, 9 აპრილის ქ. მდებარე ღვთისმშობლის მიძინების სახელობის და სოფ. ქვედა მესხეთში ყოვლად წმინდა სამების სახელობის ეკლესიის სარეაბილიტაციო სამუშაოები.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი - 2023 წელს დაფინანსდა - 6 ეკლესია.

დაგეგმილი მაჩვენებელი - საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება.

მიღწეული მაჩვენებელი - დაფინანსდა 11 ეკლესია.

გ) ახალგაზრდობის მხარდაჭერა(პროგრამული კოდი 05 03)

პროგრამის განმახორციელებელი: წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია (კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახური)

2024 წლის გეგმა 35,0 ათასი ლარი, დაფინანსდა - 6.6 ათასი ლარით, რაც გეგმის 18.9 %-ია. წლის განმავლობაში არ იქნა წარმოდგენილი ახალგაზრდული ინიციატივები, რამაც განაპირობა გეგმის შეუსრულებლობა.

დაგეგმილი შუალედური შედეგი: მუნიციპალიტეტის შემოქმედებით ცხოვრებაში ჩართულია ახალგაზრდები.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: პროგრამის მიზანია ახალგაზრდობის მხარდაჭერა, რომელიც გულისხმობს საზოგადოებრივ ცხოვრებაში ბავშვებისა და ახალგაზრდების თვითრეალიზაციის შესაძლებლობას. მიმდინარე პერიოდისთვის პროგრამის ფარგლებში გაიმართა წყალტუბოს რა? სად? როდის? თამაშის დამფუძნებლისა და პირველი თაობის წარმომადგენლის ზურაბ მურვანიძის სახელობის ინტელექტუალური თამაში რა? სად? როდის?. ასევე გაიხსნა საზაფხულო ბანაკი.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი - 2023 წელს ჩატარებულ ახალგაზრდულ ღონისძიებათა რაოდენობა - 1.

დაგეგმილი მაჩვენებელი - საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება.

მიღწეული მაჩვენებელი - ჩატარებული ღონისძიების რაოდენობა - 1.

6) მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 06 00)

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფის პრიორიტეტი საანგარიშო პერიოდში სულ დაფინანსდა 3617.8 ათასი ლარით, რაც გეგმის (3693.0 ათასი ლარი) 98.0 პროცენტია. თანხები გადანაწილდა შემდეგი მიმართულებით:

ათასი ლარი

პროგრამული კოდი	წყალტუბოს მუნიციპალიტეტი	2024 წლის ბიუჯეტის გეგმა			2024 წლის ბიუჯეტის ფაქტი			%
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები	
06 00	მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	3,693.0	319.0	3,374.0	3,617.8	314.8	3,303.0	98.0
06 01	ჯანმრთელობის დაცვა	269.0	269.0	0.0	265.7	265.7	0.0	98.8
06 01 01	საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა	269.0	269.0	0.0	265.7	265.7	0.0	98.8
06 02	სოციალური პროგრამები	3,424.0	50.0	3,374.0	3,352.1	49.1	3,303.0	97.9
06 02 01	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სათნოების სახლი	463.1	0.0	463.1	451.7	0.0	451.7	97.5
06 02 02	მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ დღეგრძელ პირთა დახმარება	2.0	0.0	2.0	1.0	0.0	1.0	50.0
06 02 03	მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული ოჯახების მატერიალური წახალისება დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის	72.7	0.0	72.7	72.3	0.0	72.3	99.4
06 02 04	მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ მოქალაქეთა სარიტუალო ხარჯი	12.8	10.0	2.8	10.5	9.3	1.2	82.0
06 02 05	მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ მოქალაქეების ერთჯერადი ფულადი დახმარება	718.1	0.0	718.1	714.4	0.0	714.4	99.5
06 02 06	ბავშვთა ინკლუზიური ცენტრი	267.0	0.0	267.0	259.4	0.0	259.4	97.1
06 02 07	მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული მოქალაქეების სამედიცინო დახმარების თანადაფინანსება	1,102.6	0.0	1,102.6	1,078.8	0.0	1,078.8	97.8
06 02 08	სტიქიის, ხანძრის შედეგად დაზარალებულ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ მოქალაქეების დახმარება	158.7	0.0	158.7	158.7	0.0	158.7	100.0
06 02 09	გენდერული თანასწორობის ხელშეწყობა	7.0	0.0	7.0	3.4	0.0	3.4	47.9

06 02 10	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული სოციალურად დაუცველი ასევე უსახლკარო / მიმღე საცხოვრებელ პირობებში მყოფი ოჯახებისათვის ინდივიდუალური სახლების მშენებლობის ან/და შექმნა	412.0	0.0	412.0	398.7	0.0	398.7	96.8
06 02 11	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული განსაკუთრებული საჭიროების მქონე ბავშვიანი ოჯახების დახმარება	59.6	40.0	19.6	59.4	39.8	19.6	99.6
06 02 12	მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული დედ-მამით ობოლ ბავშვთა დახმარება	1.6	0.0	1.6	1.6	0.0	1.6	100.0
06 02 13	მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული მოქალაქეთა ბინის ქირით უზრუნველყოფა	106.0	0.0	106.0	103.2	0.0	103.2	97.4
06 02 14	მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული წარჩინებული სტუდენტებისათვის ყოველთვიური სტიპენდია	18.3	0.0	18.3	16.8	0.0	16.8	91.5
06 02 15	სპეციალიზირებულ დაწესებულებიდან (მათ შორის მინდობით აღზრდიდან) ბიოლოგიურ ოჯახში, მეურვესთან / მზრუნველთან საცხოვრებლად დაბრუნებული ბავშვების ფინანსური დახმარება	0.5	0.0	0.5	0.5	0.0	0.5	100.0
06 02 16	სადღესასწაულო დღეებში ფინანსური დახმარება	22.0	0.0	22.0	21.9	0.0	21.9	99.5

ა) საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 06 01 01)

პროგრამის განმახორციელებელი: ა(ა)იპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი

2024 წლის გეგმა 269.0 ათასი ლარი, დაფინანსდა - 265.7 ათასი ლარით, რაც გეგმის 98.8 %-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგი: მოსახლეობის ჯანმრთელობის შენარჩუნება და საგანგებო სიტუაციების ლოკალიზება

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება მოსახლეობისთვის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის სერვისების მიწოდება და უსაფრთხო საცხოვრებელი გარემოს უზრუნველყოფა, გადამდებ დაავადებათა ეპიდზედამხედველობა და კონტროლი, პირველადი ეპიდკვლევის განხორციელება, იმუნოპროფილაქტიკის დაგეგმვა და მასზე ანგარიშგება დადგენილი წესით, C ჰეპატიტის სკრინინგის განხორციელება, საზოგადოებისათვის მნიშვნელოვან ობიექტებში სანიტარულ - ჰიგიენურ მდგომარეობაზე ზედამხედველობა. საანგარიშო პერიოდში ა(ა)იპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის მიერ ჩატარებული იქნა სახელმწიფო პროგრამების ფარგლებში „C“ ჰეპატიტის სკრინინგი გამოვლინდა 19 შემთხვევა, „B“ ჰეპატიტის სკრინინგი - 9 შემთხვევა, მწვავე ვირუსული ჰეპატიტი „C“ – 3 შემთხვევა, დიარიის - 49 შემთხვევა, ბრუცელოზი - 7 შემთხვევა, საკვების მიერ მოწამვა - 122 შემთხვევა, ჩუტყვავილა - 8 შემთხვევა, ტუბერკულოზი - 17 შემთხვევა, ლაიმის დაავადება ბორელიოზი - 5 შემთხვევა, ქუნთრუშა - 16 შემთხვევა, ჯილეხი - 2 შემთხვევა, ლეპტოსპიროზი - 24 შემთხვევა. ჰანტავირუსული ინფექცია - 1 შემთხვევა, ლეიშმანიოზი - 2 შემთხვევა, სიფილისი - 1 შემთხვევა, აივ შიტსზე ტესტირებული - 8 შემთხვევა და ყივანახველა 5 შემთხვევა. ჩატარებული იქნა სხვადასხვა ინფექციური აცრები (ტეტანუსი, წითელა, წითურა, ყბაყურა, როტარიქსი და ა.შ) - 1745. ასევე პერმანენტულად ხდება ბენეფიციარტა კოვიდ ტესტირება სულ 2002 ბენეფიციარში დადებითია 46 შემთხვევა. გაიცა ტამიფლუ 190 აბი.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

1. საბაზისო მაჩვენებელი - 2023 წელს ჩატარებული აცრების რაოდენობა - 5068.
2. დაგეგმილი მაჩვენებელი - საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება.
3. მიღწეული მაჩვენებელი - ჩატარებული აცრების რაოდენობა - 1745.
4. საბაზისო მაჩვენებელი - 2023 წელს ჩატარებული სკრინინგის ბენეფიციართა რაოდენობა - 2002
5. დაგეგმილი მაჩვენებელი - საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება.
6. მიღწეული მაჩვენებელი - სკრინინგის ბენეფიციართა რაოდენობა - 2350.

ბ) წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სათნოების სახლი (პროგრამული კოდი 06 02 01)

პროგრამის განმახორციელებელი: ა(ა)იპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სათნოების სახლი.

2024 წლის გეგმა 463,1 ათასი ლარი, დაფინანსდა - 451,7 ათასი ლარით, რაც გეგმის 97,5 %-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგი: შექირვებულ მდგომარეობაში მყოფი პირები უზრუნველყოფილნი არიან ყოველდღიური უფასო კვებით

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება ა(ა)იპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სათნოების სახლის დაფინანსება, კერძოდ სოციალურად დაუცველი და შეჭირვებული მოსახლეობის საინფორმაციო ბაზის შექმნა და მათი უზრუნველყოფა კვებით მთელი წლის განმავლობაში (365 დღე). მათ მომსახურებას უწევს ა(ა)იპ-ის 10 თანამშრომელი. საანგარიშო პერიოდისთვის პროგრამით სარგებლობდა 220 ბენეფიციარი, რომელთა გამოკვება ხდება დღეში ერთჯერ. ა(ა)იპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სათნოების სახლი წარმატებით ახორციელებს აგრეთვე ბენეფიციართა შინმოვლის პროგრამას, რომელიც მოიცავს გადაადგილების შესაძლებლობას მოკლებულ 20 ბენეფიციარი.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი - 2023 წელს ბენეფიციართა რაოდენობა - 210.

დაგეგმილი მაჩვენებელი - საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება.

მიღწეული მაჩვენებელი - ბენეფიციართა რაოდენობა - 220.

გ) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ დღეგრძელ პირთა დახმარება (პროგრამული კოდი 06 02 02)

პროგრამის განმახორციელებელი: წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია (ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური)

2024 წლის გეგმა 2,0 ათასი ლარი, დაფინანსება 1,0 ათასი ლარით, რაც გეგმის 50%-ია. მიმდინარე პერიოდისთვის დღეგრძელ პირთა რაოდენობა ფაქტიურად განისაზღვრა რაოდენობით 1.

დაგეგმილი შუალედური შედეგი: ასი და მეტი წლის უხუცესები უზრუნველყოფილნი არიან ფინანსური დახმარებით

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: ქვეპროგრამის ფარგლებში მატერიალური დახმარება გაეწია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ დღეგრძელ ბენეფიციარს (100 და მეტი წლის ასაკის) 1000 ლარის ოდენობით.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი - 2023 წელს ბენეფიციართა რაოდენობა - 2.

დაგეგმილი მაჩვენებელი - ბენეფიციართა რაოდენობა 2.

მიღწეული მაჩვენებელი - ბენეფიციართა რაოდენობა - 1.

დ) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული ოჯახების მატერიალური წახალისება დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის (პროგრამული კოდი 06 02 03)

პროგრამის განმახორციელებელი: წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია (ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური)

2024 წლის გეგმა 72,7 ათასი ლარი, დაფინანსდა - 72,3 ათასი ლარით, რაც გეგმის 99,4 %-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგი: ფინანსური ხელმისაწვდომობის გაზრდის გზით მუნიციპალიტეტში დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესებულია

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: ქვეპროგრამის ფარგლებში დახმარება გაეწია მრავალშვილიან ოჯახებს: მესამე შვილის შეძენის გამო 500

ლარი დახმარების სახით მიიღო 14 ოჯახმა, მეოთხე შვილის შეძენის გამო მუნიციპალიტეტში მცხოვრებმა 3 ოჯახმა - 700 ლარი და მე-6 შვილის შეძენის გამო 1 ოჯახმა -1000 ლარი. სულ 20 ოჯახმა. სოციალური მომსახურების სააგენტოს მონაცემთა ერთიან ბაზაში 0-დან 65000-ი ქულის ჩათვლით რეგისტრირებულმა 94 ოჯახმა, რომელთაც ყავთ 18 წლამდე ასაკის სამი და მეტი შვილი ერთჯერადად მიიღო თითოეულმა 300 ლარი.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი - 2023 წელს ბენეფიციართა რაოდენობა - 145.

დაგეგმილი მაჩვენებელი - საანგარიშო პერიოდისთვის ბენეფიციართა რაოდენობა - 105.

მიღწეული მაჩვენებელი - საანგარიშო პერიოდისთვის ბენეფიციართა რაოდენობა - 122.

ე) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ მოქალაქეთა სარიტუალო ხარჯი (პროგრამული კოდი 06 02 04)

პროგრამის განმახორციელებელი: წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია (ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური)

2024 წლის გეგმა 12,8 ათასი ლარი, დაფინანსდა - 10,5 ათასი ლარით, რაც გეგმის 82 %-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგი: სარიტუალო მომსახურეობით უზრუნველყოფილი ბენეფიციარი.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: ერთჯერადი ფულადი დახმარება გაეწია იძულებით გადაადგილებულ 28 ოჯახს, რომელთაც გარდაეცვალათ ოჯახის წევრი.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი - 2023 წელს ბენეფიციართა რაოდენობა - 10.

დაგეგმილი მაჩვენებელი - საანგარიშო პერიოდისთვის ბენეფიციართა რაოდენობა - 40.

